# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებული 1918 წელს.

ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 229 (5830)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მთაწმინდა ჩაფიძრებულა...





### ნუ აპურორებთ და შეურაცხყოფთ უდანაშაულო ადამიანებს!

2 5

**არც პოლიციისა და მერიის წარმომადგენლებს, მთაწმინდის პარკში რომ შეიჭრნენ და დალეწეს იგი, აწყენდათ დაფიქრება, რამდენად კანონიერი იყო მათი საქციელი!**

## ოპოზიცია აუცილებლად გაიმარჯვებს



2

⦿ ვაი, რას მოვესწარით!

## სხვადასხვა დროში ბოროტება სხვადასხვა სახით ვლინდება...



6

*ბატონებო! ქუთაისი ჩემთვის იყო ჭეშმარიტი ქართული ქალაქი, თავისი მნიშვნელოვანი ისტორიითა და თავისი საკუთარი ცხოვრების წესით, სადაც სიყვარული ზეიმობდა.*

*სამწუხაროა, რომ თქვენს ქალაქშიც შემოიჭრა ის სიავე, რომლითაც მოცულია დღეს მთელი საქართველო, მაგრამ პირდაპირ უნდა გითხრათ, მშვიდობიან დროშიც ქუთათურებმა ვერ შეაფასეთ თქვენთან აღმართული მემორიალის ღირსება და სწორედ მემორიალის თაღის მოპირდაპირედ მშენებლობა გააჩაღეთ. რატომ? რისთვის? ვის მოუვიდა აზრად საგანგებოდ შერჩეული ადგილი (სადაც პროექტის მიხედვით პარკია გამიზნულიძ დაემახინჯებინა? ეს სამარცხვინო ფაქტია, ამავე დროს ყურადსაღები.*

## რა დაემართა საქართველოს?

THE WALL STREET JOURNAL ONLINE

8

### გაცრუებული იმედები

The Washington Times

## აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტურ ზონებში თავიდან უნდა იყოს აცილებული პროცესების ძალადობრივი გართულება



4

# სახელმწიფო

● შალვა ნათელაშვილმა, რომელიც სულ რამდენიმე დღეა დაბრუნდა იატაკქვეშეთიდან (ასე განაცხადა), აღნიშნა, რომ ამ შეხვედრით იწყებს თავის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის, საარჩევნო კამპანიას



№ 229. ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

◎ პრეზიდენტები

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობას „საუკუნის პროექტი“ უწოდა. ამის შესახებ მან რკინიგზის მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე განაცხადა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელ მარაბდაში გაიმართა. ცერემონიას თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები აბდულა გიული და ილჰამ ალიევი დაესწრნენ.**

## მიხეილ სააკაშვილი: ყარსი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა საუკუნის პროექტია

**„დღეს არის ძალიან დიდი დღე. დღეს ჩემი ქვეყნის გადმოსახედიდან საქართველო გამოდის ჩიხიდან. ეს არის ის საუკუნის პროექტი, რომლის ფუნქცია არის ის, რომ თბილისი და მთლიანად საქართველო პირდაპირი გზით, ბოსფორის ქვეშ გვირაბის გავლით, დაუკავშირდეს ევროპას და ე.ი. თბილისი პირდაპირი მატარებლით პარიზს, ბუდაპეშტს, ლონდონს, ლისაბონს, სტამბოლს და, რა თქმა უნდა, ბაქოს, რომელთანაც ჩვენ ისედაც ვართ დაკავშირებული და, შემდეგ კასპიის ზღვის გავლით, მთელ აზიურ მიმართულებებს“, – განაცხადა სააკაშვილმა.**

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც რუსეთისკენ მიმავალი აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო მონაკვეთი დაიბლოკა, საქართველო ძირითად სარკინიგზო ხაზებისგან იზოლირებული აღმოჩნდა.



– მას შემდეგ რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზა დაიკეტა და აღარ გვაქვს პირდაპირი მიმოსვლა რუსეთთან, ჩვენ ვიწყებთ უფრო თანამედროვე, უფრო სწრაფ და უსაფრთხო მიმართულებას ევროპისკენ. ეს არის გრანდიოზული პროექტი, რომლის განხორციელებაში ძალიან ბევრს ეპარებოდა ეჭვი მრავალი წლის განმავლობაში, – განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ საქართველოსთვის ეს ნიშნავს იმას, რომ დასაქმდება არა მარტო ასობით ათასი ადამიანი, არამედ გაცოცხლდება ის მხარეები საქართველოში, რომლებიც ეკონომიკურად ასევე იზოლირებულ ჩიხში იყო მოქცეული.

– ვფიქრობ რკინიგზის მშენებლობა დამთავრდება კიდევ უფრო მალე, ვიდრე ეს დაგეგმილია. ვვარაუდობ, რომ ჩემს საპრეზიდენტო მეორე ვადაში. მინდა უფრო ადრე, ვიდრე ეს ვადა ამოიწურება, ეს რკინიგზა გავხსნა და ვიყო პირველი მგზავრი ბაქო-თბილისი-სტამბულის ექსპრესის, რომელიც გაივლის ბოსფორს და გააგრძელებს გზას დანარჩენი ევროპისკენ, – განაცხადა სააკაშვილმა.

## აბდულა გიული: ახალი სარკინიგზო მაგისტრალი ისტორიულ აბრეშუმის გზას გააცოცხლებს

**ყარსი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის დაწყებას თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ ისტორიული დღე უწოდა.**

– აქ ჩამოვედით, რადგან კარგი მიზნები გვაქვს და ეს დღე ყველას გვემახსოვრება. იმედი მაქვს, ეს ხაზი საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის ხალხს ბედნიერებას მოუტანს. ეს გიგანტური პროექტია. ჩვენ ჩინეთს ლონდონთან ვაკავშირებთ. ის ლოკომოტივები, რომლებიც ჩინეთიდან გამოვა, ბაქო-თბილისის გავლით სტამბოლში ჩავლენ. მერე უკვე ზღვის გავლით ბოსფორის ყურით დაუკავშირდებიან მნიშვნელოვან სარკინიგზო ხაზს. ასე რომ, ეს არის პროექტი, რომელსაც მთლიანად ისტორიის შეცვლა შეუძლია, – განაცხადა აბდულა გიულიმ.

მისივე თქმით, სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ ისტორიული აბრეშუმის გზაც გაცოცხლდება.

– ჩვენ ამ გზით აღმოსავლეთს ევროპას დაუკავშირებთ. ეს არ იქნება მარტო სამგზავრო ხაზი. ამ რკინიგზით საქონლის ტრანსპორტირება და გადატანაც განხორციელდება, რაც ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

## ილჰამ ალიევი: ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი რეგიონის უსაფრთხოებას გაამყარებს

**აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, ყარსი-თბილისი-ბაქოს ახალი სარკინიგზო მაგისტრალი რეგიონის უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაამყარებს.**

– ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი რეგიონისთვის უფრო მეტ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და ქვეყნები კი თავიანთ შესაძლებლობებს გამოიყენებენ. მხედველობაში მაქვს ნავთობის და გაზის მნიშვნელოვანი მარშრუტები, – განაცხადა ალიევმა.

მისივე თქმით, ახალი სარკინიგზო მაგისტრალი მნიშვნელოვანია არა მარტო რეგიონის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

– მთელი ჩვენი ძალისხმევა და ინიციატივები ასეთი პროექტებისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ეს მნიშვნელოვანია არა მარტო მხოლოდ ჩვენი ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, – განაცხადა ალიევმა.

◎ წინასაარჩევნო მარათონი

## შალვა ნათელაშვილი: ოპოზიცია აუცილებლად გაიმარჯვებს

**გუშინ „თბილისი-მერიოტში“ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ბეჭდვითი მედიის ხელმძღვანელებს შეხვდა.**

**შალვა ნათელაშვილმა, რომელიც სულ რამდენიმე დღეა დაბრუნდა იატაკქვეშეთიდან (ასე განაცხადა), აღნიშნა, რომ ამ შეხვედრით იწყებს თავის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის, საარჩევნო კამპანიას.**

მან შეკრებილთ გააცნო თავისი ხედვა ქართული მასმედიის მიმართ. დღევანდელი პრეზიდენტისგან განსხვავებით, იგი გაზეთების მკითხველია, ამიტომ კარგად იცნობს ქართველი ჟურნალისტების ნახელავს, მათს შემართებას და შეკრებილთ აღუთქვა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ლეიბორისტული პარტია დააყენებს და იბრძოლებს ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიც არის ჟურნალისტთა კადრების მომზადება სახელმწიფო დაფინანსებით, ღირსეული პირობების შექმნა ჟურნალისტური პროდუქციის გავრცელებისთვის, რეკლამის სწორი განაწილება, მასმედიის მხარდამჭერი სახელმწიფო ფონდის შექმნა, ჟურნალისტთა ფიზიკური დაცვის გარანტია, სახელმწიფოს მიერ გაზეთების ბეჭდვის ხარჯების თავის თავზე აღება და ა. შ.

შეკითხვაზე, თუ რატომ წამოაყენა ლეიბორისტულმა პარტიამ თავისი კანდიდატი, ბატონმა შალვამ უპასუხა, რომ ეს გაკეთდა იმისთვის, რომ კაცმა არ იცის საით წავიდოდა ჩვენი – მემარცხენე ელექტორატიო.

აქვე ახსნა, რომ არჩევნებზე მრავალი კანდიდატით მისვლა ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს, სახელისუფლებო კანდიდატის დამარცხების ერთ-ერთ პირობას ქმნის. როცა საქმე მეორე ტურამდე მივა, ოპოზიცია ერთადერთ კანდიდატზე შეჯერდებაო.

კითხვაზე, ხომ არ შეიძლება ჩაიშალოს არჩევნები, ბატონმა შალვამ უპასუხა, რომ ჩაშლა გამორიცხულია, მაგრამ არის მისი გადადების თეორიული შანსი.

ლეიბორისტთა ლიდერმა რწმენა გამოთქვა, რომ ოპოზიცია აუცილებლად გაიმარჯვებს, რადგან მიხეილ სააკაშვილს ხალხის ნდობის ყველა რესურსი ამოეწურა.

**სანდრო ავალიანი**

◎ პროტესტი

## ჩემს ნათქვამს ისე გააშუქებენ, თითქოს სააკაშვილის მომხრე ვიყო

**გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ გუშინ გამართულ**



**პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, „მზისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები არ დაუშვა.**

აღნიშნული ფაქტი საერთაშორისო პრეს-ცენტრ „რია ნოვოსტის“ ოფისში მოხდა, სადაც გაჩეჩილაძე რუს ჟურნალისტებთან ტელე-ხიდის საშუალებით პრესკონფერენციას მართავდა.

ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, „მზე“, „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი არხებია და ინფორმაციას სუბიექტურად აშუქებენ.

მოგვიანებით მან, რუსი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ არ დაუშვა ტელეკომპანიების ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე, განაცხადა, რომ ეს არხები მხოლოდ ხელისუფლების მითითებით მოქმედებენ.

– არიან საქართველოში ტელეკომპანიები, რომლებიც სიმართლეს მალავენ და მხოლოდ სააკაშვილის პიარკამპანიით არიან დაკავებულნი. ჩემ საუბარს ისინი ისე დაამონტაჟებდნენ, რომ ჩემგან სააკაშვილის მხარდამჭერს გამოიყვანდნენ. მაქვს შეგრძნება, რომ დიქტატორულ რეჟიმში ვცხოვრობთ, სადაც რამდენიმე მძლავრი ტელეკომპანია ხელისუფლების მსახურია, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მომხდართან დაკავშირებით, „ტელეკომპანია „რუსთავი 2“- ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ გაკეთდა განცხადება, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი მიზანმიმართულად ცდილობს „რუსთავი 2“-სა და სხვა ტელეკომპანიებზე ზეწოლას.

მათივე თქმით, გაჩეჩილაძის გაღიზიანება გამოიწვია ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის განცხადებამ, რომ 7 ნოემბრის აქციის დაშლის დროს ცეცხლსასროლი იარაღით არავინ დაშავებულა.

**ინტერპრესნიუსი**

◎ მოწოდება

## ნუ ატერორებთ და შეურაცხყოფთ უდანაშაულო ადამიანებს!

### ბადრი პატარკაციშვილის განცხადება

**მას შემდეგ, რაც ღიად გამოვხატე ჩემი შეხედულებები საქართველოში მიმდინარე მოვლენასთან დაკავშირებით, ხელისუფლება შტურმით იღებს ჩემს მფლობელობაში არსებულ ობიექტებს. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები აშანტაჟებენ, აშინებენ, შეურაცხყოფენ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და რიგით თანამშრომლებს, რომლებიც უბრალოდ პატიოსნად ემსახურებიან თავიანთ საქმეს.**

**მოვუწოდებ ხელისუფლებასა და შესაბამის სტრუქტურებს – ნუღარ გამოიყენებენ ისეთ ფორმებს, როგორიცაა ღამით ობიექტებზე შეჭრა, თანამშრომელთა პირადი ნივთების ხელყოფა, იარაღის მუქარით ადამიანების ტერიტორიიდან გამოდევნა, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა.**

**გთხოვთ, შემატყობინოთ, რომელ ობიექტზე აპირებთ შეჭრას, რათა, ქვეყანაში კანონიერების აღდგენამდე, უპრობლემოდ გადმოგაბაროთ ისინი. ცხადია, დავიტოვებ უფლებას, თითოეულ ფაქტზე საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის შესაბამისად ვიდავო.**

**მანამდე კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ჩემი პიროვნებით შეწუხებულნი, ნუღარ დაატერორებთ და შეურაცხყოფთ მოქალაქეებს, ისინი კონსტიტუციური უფლებებით დაცული კანონმორჩილი ადამიანები არიან და არა ბოროტმოქმედები.**

# აღმდგარი ქვეყანა •

ჰოდა, რაც მაშინ აზერბაიჯანელებს რეზინის ტყვიები, ხელკეტები თუ ცრემლსადენი გაზი ვთხოვეთ და, ალბათ, მივიღეთ კიდეც, ახლა გასათბობი აირიც მოგვინდა?





**◎ რეპლიკა**

## იქ, ორივე ერთად — ცრემლსადენიც და ბუნებრივიც?!

**გუშინ დილით ჩემი დიდი დილმის ბინაში გაზქურამ ერთი კი ამოიბუთქუნა და... ფაფუ სითბო!**

**სამსახურში მოსულმა კი გაზეთში საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მასალა წავიკითხე — აზერბაიჯანმა გაზის ექსპორტი შეგვიწყვიტაო: აზერბაიჯანის ვიცე-პრეზიდენტს იაგებ ეიუბოვს უთქვამს, ჩვენთან გაზის მოპოვება მცირდება და ამიტომ აირს ჯერჯერობით მხოლოდ შაჰ-დენიზის საბადოდან მიიღებთო.**

რას ერჩი, თავისთვის მოიკლებს და ჩვენ მოგვცემს?

თანაც, შარშან ხომ გაგვიწია შეღავათი!

და, რაც მთავარია...

თუმცა სანამ ამ მთავარს ვიტყოდე, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო გასული საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში მომხდარი ლამის ანეკდოტის მაგვარი ნამდვილი ამბავი:

მეგრელმა ორიოდ დღის წინათ შერთულ ექიმ გოგონასთან (მაშინ ექიმი საცოლე რა „ცვეტშიც“ იყო, კარგად მოგეხსენებათ) განქორწინება გადაწყვიტა: ქალიშვილი არ ყოფილაო!

ჰოდა, მაშინ წამოყალყულა საქმის გასარჩევად შეკრებილი ორივე მხარის წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი — ქალის ნათესავი:

**— კი, მაგრამ, შენ როგორ, გენაცვალე,** — მთელი სერიოზულობით მიუმართავს განქორწინების მსურველ მეგრელისთვის, **— თან ექიმი გინდა და თან ქალიშვილი?!**

და ახლა ის ჩემი მთავარი სათქმელიც: ხომ ყველამ ვნახეთ და მოვისმინეთ ტელევიზიით საქართველოსა და აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრების საუბრის ჩანაწერი, რომლითაც ვანო მერაბიშვილი თავის აზერბაიჯანელ კოლეგას დახმარებას სთხოვდა თბილისში მომიტინგეთა დასარბევად საჭირო მასალებით მომარაგებაში (**ზოგიერთები კი ამბობენ, ეს ნაყალბევია, არ დაიჯეროთო, მაგრამ თუ იგივე ტელევიზიით ნანახ-მოსმენილი სხვათა აუდიოჩანაწერები უნდა დავიჯეროთ, ეს ვითომ რად არ უნდა ვირწმუნოთ?ძ.**

ჰოდა, რაც მაშინ აზერბაიჯანელებს რეზინის ტყვიები, ხელკეტები თუ ცრემლსადენი გაზი ვთხოვეთ და, ალბათ, მივიღეთ კიდეც, ახლა გასათბობი აირიც მოგვინდა?

ანუ იმ მეგრელის ნათქვამის ანალოგიით თუ ვიტყვით, **ცრემლსადენი გაზიც გვინდა და ბუნებრივი გაზიც?**

**ეგრე სად არის, ძმაო?**

**რუსლან რუსია.**

**◎ განსჯა**

## მოულოდნელი არჩევნები

**ბრძნულად შეფასებული საპრეზიდენტო ვადამდელი არჩევნები ეს-ესაა კარზე მოგვიკაკუნებს და საშობაო-საახალწლო დღესასწაულების განცხრომაში მყოფ საქართველოს საზოგადოებას საარჩევნო ყუთებისაკენ წასვლას შეახსენებს. შეხსენებით, შეახსენებს, მაგრამ სმა-ჭამას მიძალებული საზოგადოება, რამდენად შეიხსენებს ამ მართლაცდა სასიცოცხლო სამოქალაქო მოვალეობას, ძნელი სათქმელია.**

პრეზიდენტის მიერ საარჩევნო ვადის გადმოწევის „სიბრძნის“ ბევრს ისე არ სჯერა, როგორც საპატრიარქოს და ოპოზიციურ კოალიციას, საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის ბრაისას განცხადებაც ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია „ჩემი ვიზიტის მიზანია ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად ქვეყანაში დემოკრატიული კურსის აღდგენა, რაც 4 იანვრის არჩევნების მაქსიმალურად სამართლიანად ჩატარებას ითვალისწინებს, ღრმად მწამს, რომ არჩევნები აუცილებლად სამართლიანად ჩატარდება“ — შენ პირს შაქარი, მაგრამ ამ სიტყვების მხოლოდ ბრაისას სჯერა, რომელიც ყველაფერს ეცდება იგივეში დაარწმუნოს საკუთარი უფროსები, რაც მის პირდაპირ ინტერესებშიც შედის, საქართველოს საკითხების ამერიკელი კურატორი, მრავალი წლის მეგობრობით არის დაკავშირებული საქართველოს ხელისუფლებასთან და მისი წარუმატებლობა, ანუ არადემოკრატიული გადაცდომები, ბრაისას შეცდომაც არის. ის, რომ საქართველოში არსებული ნამდვილი პოლიტიკურ-სოციალური ვითარება ნეგატიურის ნაცვლად პოზიტიურად მიეწოდებოდა ვაშინგტონს, კარგად არ მეტყველებს „ფოსტალიონის“ მიუკერძოებლობაზე.

დასავლელ ექსპერტებსაც ნაკლებად სჯერათ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების. დასავლურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ხაზგასმითაა აღნიშნული საწინააღმდეგო მოსაზრება, მაგალითად ჰენინგი, პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გაზეთ „ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბიუნში“, ამბობს, რომ ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნები გამოიწვევს ქართული დემოკრატიული ექსპერიმენტების ისედაც არამდგრადი შენობის საძირკველშივე ახალ-ახალი ბზარების გაჩენა.

პრეზიდენტის „ბრძნული“ გადაწყვეტილება მართლაც ბრძნულია პრეზიდენტისა და ხელისუფლებისათვის, შესაძლოა ამერიკის ადმინისტრაციისათვის, მაგრამ არა საქართველოს საზოგადოებისათვის. პრეზიდენტის გადაწყვეტილება მინიმუმ 5 წლით მოუტანს მას და მის გუნდს ქვეყნის სათავეში ყოფნის გარანტიას, მაქსიმუმ კი ვინ იცის... პოსტსაბჭოთა სივრცეში და არა მარტო აქ, არამედ შორეულ საზღვარგარეთშიც ხელისუფლებაში ყოფნის მარადიულობა აქტუალურია. გავიხსენოთ ვენესუელის ამასწინანდელი დემონსტრაციები და დემონსტრანტთა მოთხოვნები, ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პრეზი-



დენტ ჩავესის გადაწყვეტილებას, კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებების შეტანის მცდელობისათვის, რომელიც ჩავესს, სიკვდილამდე, პრეზიდენტის ტიტულით აღჭურავს. ქვეყნის სათავეში განუსაზღვრელი ყოფნის სურვილი რომ საქართველოს ხელისუფლებასაც აქვს, ამის გამოცნობა ძნელი არ არის. პრეზიდენტის განცხადებები გრძელვადიან პროგნოზებთან დაკავშირებით სწორედ ამის მომასწავებელია, ისე, როგორც ერთი თვის წინანდელი განცხადება — მეორე საპრეზიდენტო ვადის დაწყებამდე ფიცის დადებასთან დაკავშირებით, თითქოს გამარჯვება გარანტირებული ჰქონდეს. მავანი შემედავება — ქართული საზოგადოება არ დაუშვებსო, ვაშინგტონი რას იტყვისო, ევროპა გაგულისდებაო და სხვა, მაგრამ შეშინებული და იმავდროულად მოთაფლული ხალხის, რის მცდელობასაც პრეზიდენტის მხრიდან ამჯერად აქვს ადგილი, დამოკიდებულება სხვაგვარი იქნება, ანუ ისეთი, როგორც ხელისუფლების. ვაშინგტონი კი ისე შეეგუება ვითარებას (ვინ იცის, იქნებ ყოველივე სწორედ მისი ნააზრევის ნაყოფიაძ, როგორც დღეს.

ბიზნესმენთა წინაშე გამოსვლის დროს პრეზიდენტმა ყოველგვარი რიდის ან დიპლომატიის გარეშე განაცხადა, რომ ის ვერ გაიზიარებს უცხო სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოსაზრებას საგანგებო მდგომარეობის გაუქმებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მან უკეთ იცის საკუთარი ქვეყნის პრობლემები და მაშინ გააუქმებს მას, როცა მიზანშეწონილად ჩათვლის, რაც მართლაც ასე მოხდა. ამერიკელ მოიმედეთა სავალალოდ, რომ საგანგებო მდგომარეობას ბრაისას ჩამოსვლისთანავე დაესმებოდა წერტილი, ნაწილობრივ და ისიც მოგვიანებით, გამართლდა. ნაწილობრივ, ვინაიდან ტელეკომპანია „იმედი“ სხვადასხვა მოსაზრებების გამო გათიშული დარჩა, როგორც ჩანს, მაყურებელი კარგა ხანს ვერ იხილავს „იმედის“ გადაცემებს, ყოველ შემთხვევაში არჩევნებამდე მაინც.

შეხვედრა წარსულთან, რაც ხელისუფლებამ მოუწყო ხალხს, ვერ ჩაითვლება მონატრებულად. ეს ტერმინი ენაკვიმატმა ქართველებმა მძიმე 1992-93 წლებში გამოიგონეს ქართული სუფრის დამამშვენებელ ხაჭაპურის გაქრობასთან დაკავშირებით. თუ იმ წლებს გავიხსენებთ, თვალწინ წარმოგვიდგება არათუ ყველის, არამედ პურის ფქვილის დეფიციტიც. იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთ ოჯახში, ხაჭაპურის გამოჩენა, ტკბილ და გემრიელ მოგონებას იწვევდა, რასაც ვერ ვიტყვით ტელევიზიების გათიშვაზე.

ტელევიზიების გამორთვა ქართულ პოლიტიკაში არახალია, ამ ხერხს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გამსახურდიამაც მიმართა. რუსეთზე გაგულისებულმა, რუსული ტელეგადაცემები გათიშა, სხვა მაშინ არც არსებობდა და საქართველოს ტელერადიო კომიტეტის გადაცემების ანაბარა დატოვა საზოგადოება. უზენაესის თავმჯდომარე, თავის გასამართლებლად, იმასაც ამბობდა, რომ მის ახალგაზრდობაში ტელევიზია სულაც არ იყო და ამით ქვეყანა არ დაქცეულა. მაშინდელი გათიშვა კარგა ხანს გაგრძელდა, დღევანდელი — რამდენიმე დღე. დღეს სხვა დროა. საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და აქედან გამომდინარე, თუნდაც ერთდღიანი გათიშვა უაღრესად არადემოკრატიულ ქმედებად აღიქმება დასავლეთში, დარბევაზე რომ არაფერი ვთქვათ, ტელეკომპანია „იმედი“ მაქვს მხედველობაში. დასავლური ტელეკომპანიების სი-ენ-ენის, ბი-ბი-სის, ევრონიუსის და სხვათა გათიშვამ და მათ ნაცვლად სპორტის, ცხოველთა სამყაროს და სხვა გადაცემებით ჩანაცვლებამ ცხოველთა და სპორტის მოყვარეებს დიდი შესაძლებლობა მისცა პერმანენტულად ეცქირათ საყვარელი გადაცემებისთვის, მაგრამ მოჭარბებულმა ჩვენებამ ლამის ყეფა და ყმუილი დააწყებინა საზოგადოებას. ზომაგადასული საინტერესო გადაცემა უინტერესო ხდება. გათიშვას სხვა „ხიბლიც“ ჰქონდა — საზოგადოებრივი ტელევიზიის გამომზეურება. თუ ჩვეულებრივ ვითარებაში პირველი არხი მაყურებლის სიჭარბით ვერ დაიკვეხნის, საგანგებო დღეებში მხოლოდ მისკენ იყო მიპყრობილი მოსახლეობის ყურადღება. მისმა პროვინციალიზმმა და არაპროფესიონალიზმმა ათქმევინა საზოგადოებას — რაში იყრება მოსახლეობისათვის შეწერილი მილიონებიო.

არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში რეკლამაწართმეული ოპოზიცია, ხელისუფლებასთან საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის ბრძოლით დაკავებული, მძიმე ცაიტნოტშია წინასაარჩევნო კამპანიის სრულყოფილად წარუმართაობის გამო.

პრეზიდენტი კი დროს არ კარგავს. ის აწარმოებს ფართომასშტაბიან კამპანიას, სისტემატურად აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. უხვია დაპირებებიც ხელფასების და პენსიების გაორმაგებასთან დაკავშირებით და სხვა. ასე იყო მეცნიერებთან, პედაგოგებთან, სხვებთან შეხვედრის დროს. დაპირებებიდან გამომდინარე უმალ იბადება კითხვა — თუ ყოველივე შესაძლებელი იყო, რაღას ელოდებოდა? ადრე გადაედგა ეს ნაბიჯი და აღარც 2-7 ნოემბერი იქნებოდა. პრეზიდენტი ჩასაძირად განწირულ გემის კაპიტანს გვაგონებს, რომელიც კაპიტნისგან განსხვავებით, საკუთარი თავის გადარჩენისათვის უკან არ დაიხევს და სწრაფად განთავისუფლდება ეკიპაჟის წევრებისაგან. რას მოიმოქმედებს ახალი მთავრობა პრეზიდენტის განუსაზღვრელი დაპირებების ცხოვრებაში გასატარებლად, ძნელი გამოსაცნობია. საიდან გამოძებნის ესოდენ დიდი თანხებს ან გამოძებნის შემთხვევაში რა დღეში ჩავარდება ისედაც გაჩანაგებული ეკონომიკა და გაუფასურებული ლარი? ეს ის კითხვებია, რომლებსაც პასუხი უნდა გასცენ ეკონომისტებმა 5 იანვრამდე, რათა მოთაფლულ, გზააბნეულ მოსახლეობას სწორი განსჯის შესაძლებლობა მიეცეს.

პრეზიდენტი ისე, როგორც 4 წლის წინათ, საამურ ცხოვრებას ჰპირდება ხალხს, წარბშეუხრელად აცხადებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე, აკვიატებულ 14-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაზე, აღმშენებლობაზე, მაგრამ მას ერთხელაც არ წამოსცდენია სინანული 7 ნოემბრის მიმართ. პირიქით თავი მოაქვს სახელმწიფოებრივი სიმტკიცის გამოვლინებით, რაც 5 იანვრის შემდგომი პერიოდის ბარომეტრადაც შეიძლება ჩაითვალოს.

საზოგადოების ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს პლებისციტსაც. შეძლებს ოპოზიცია სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას, ძნელი გამოსაცნობია. ტელეკომპანია „იმედის“ გარეშე გაუჭირდება საკუთარი აზრების მიტანა ამომრჩევლებამდე.

იხ. 4 გვ.

# ჩვენ

● როგორ განვითარდება კოსოვოსთან დაკავშირებით მოვლენები, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება ამერიკის და ევროკავშირის ძალისხმევა. მოხდება თუ არა ბელგრადთან რაიმე საკითხზე კომპრომისის მიღწევა, რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი და როგორი იქნება მთლიანობაში გაეროს დამოკიდებულება. აქაც არსებობს უფრო უარესი სცენარები. შედარებით უფრო მისაღები სცენარები დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, როგორ იმოქმედებს



◎ კითხული კაცის აზრი

## ირაკლი მენაღარიშვილი: აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტურ ზონებში თავიდან უნდა იყოს აცილებული პროცესების ძალადობრივი გართულება

*კოსოვოში ჩატარებულმა არჩევნებმა ცხადჰყო, რომ არჩევნებში გამარჯვებული ერთ დროს საველე მეთაური ხაშიმ ტაჩი მზადაა, 10 დეკემბრამდე კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოაცხადოს.*

*დასავლელ დამკვირვებელთა აზრით, აშშ-მა და ევროკავშირმა პრაქტიკულად აიძულეს ადგილობრივი პოლიტიკური ძალები, გადაევადებინათ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ევროკავშირის ქვეყნები უკვე შეეგუენ აზრს, რომ მოუწევთ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა მხოლოდ დროის ამბავია და ბელგრადისა და მოსკოვის წინააღმდეგობის მიუხედავად, აშშ და დასავლეთის წამყვანი ქვეყნები აღიარებენ კოსოვოს დამოუკიდებლობას.*

*კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში საქართველოს სავარაუდო საფრთხეებზე „ინტერპრესნიუსი" საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.*

**– ბატონო ირაკლი, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები კოსოვოში და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კოსოვოს პრეცედენტმა კავკასიაში არსებულ კონფლიქტებზე და კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე?**

– გავლენა ყველა შემთხვევაში ნეგატიური იქნება, რადგან მართლაც არ არის პრეცედენტი და ამას არც არავინ განიხილავს საერთაშორისო თანამეგობრობაში როგორც პრეცედენტს, გარკვეულ პროცესებს ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს, სეპარატისტულ განწყობილებებს გააჩენს. ზოგიერთი მოთამაშე, მაგალითად რუსეთი ამ თემაზე სპეკულირებს.

როგორ განვითარდება კოსოვოსთან დაკავშირებით მოვლენები, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება ამერიკის და ევროკავშირის ძალისხმევა. მოხდება თუ არა ბელგრადთან რაიმე საკითხზე კომპრომისის მიღწევა, რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი და როგორი იქნება მთლიანობაში გაეროს დამოკიდებულება. აქაც არსებობს უფრო უარესი სცენარები. შედარებით უფრო მისაღები სცენარები დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, როგორ იმოქმედებს.

**– ორწლიანი მოლაპარაკებები კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით უშედეგოდ დასრულდა. ეს ბრიუსელშიც კარგად ესმით, ვაშინგტონშიც და ევროპის ქვეყნების სხვა დედაქალაქებშიც. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ეს მხოლოდ დროის ამბავია.**

**კოსოვოს ირგვლივ ისე ვითარდება მოვლენები, რომ ფაქტობრივად, ბალკანეთში ყველაფერი მზადაა ვითარების ესკალაციისთვის. თავის მხრივ, ჩვენთან ვითარების გართულებისთვის მზადყოფნას რუსეთიც არ მალავს. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე, როგორ შეიძლება ქვეყანამ აიცილოს საფრთხეები?**

– ასეთი სცენარით მოვლენათა განვითარების საშიშროება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ეყოფა კეთილგონიერება და მაინც ყველაზე უარესი გზით არ განვითარდება პროცესები. მაგრამ თუკი არსებობს მოვლენათა ასეთი ალბათობით განვითარების მცირე შესაძლებლობა, საჭიროა ამის გათვალისწინება.

საქართველოს შიდა მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ არის საუკეთესო არც ერთი საგარეო გამოწვევის ფონზე, არც ერთი საგარეო გამოწვევის საპასუხოდ. ამიტომაც თავიდანვე, როდესაც დაძაბულობის პირველი ნიშნები გაჩნდა, მეც და ყველა გონიერ ადამიანს ჰქონდა სურვილი, როგორმე რეალიზებულიყო მშვიდობიანი გზით დიალოგი და ყველაფერი მოლაპარაკების ფორმატში გამართულიყო. დღესაც არ არის გვიან ამის ორგანიზება, მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს, რომ სწორედ ასე განვითარდეს მოვლენები.

პირველი და უმთავრესი, ჩემი აზრით, ეს არის ორივე კონფლიქტურ ზონაში თავიდან უნდა იქნას აცილებული პროცესების ძალადობრივი გართულება, რის პროვოცირებასაც, მათ შორის კოსოვოს ფენომენის გამოყენებას, უდავოდ შეეცდება რუსეთი. ეს იქნება ყველაზე დამანგრეველი ქვეყნისათვის, ამიტომ როგორმე უნდა ავიცილოთ უარესი სცენარებით პროცესების განვითარება. იმისთვის, რომ ეს ასე მოხდეს, რა თქმა უნდა, ქვეყანაში მიღწეული და შენარჩუნებული უნდა იყოს მაქსიმალური პოლიტიკური კონსოლიდირება.

არჩევნების დანიშვნა ამ პრობლემას ხელს არ უშლის. არ მგონია წინასაარჩევნო დებატები ამ შემთხვევაში ხელისშემშლელი აღმოჩნდეს. დღეს ჩვენს საზოგადოებაში უკვე გაჩენილია ბზარი და არ უნდა დავუშვათ ამ ბზარის გაღრმავება. ეს პროცესი როგორმე უნდა იყოს აცილებული.

**– იმ შემთხვევაში თუ რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, დიდია ალბათობა იმისა, რომ საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს ჩათრეული სამხედრო მოქმედებებში?**

– ამ შემთხვევაშიც კი არსებობს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის გაგრძელების არა სამხედრო და არა ძალადობრივი სტრატეგიების არჩევანი და ეჭვი არ არის, რომ საქართველომ სწორედ ასეთი არჩევანი უნდა გააკეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის სახელმწიფოებრიობას შეუქმნის პრობლემას, თავისი სტრატეგიული არჩევანის ჩათვლით, რომელიც ჩვენ, ჩვენს მომავლად მიგვაჩნია.

სულაც არ არის გარდაუვალი ის სცენარი, რომელიც თქვენ ბრძანეთ, ამიტომ ნუ ავჩქარდებით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ, მაგრამ თუკი ყველაზე უარესი მოხდა, მთავარია, რომ საქართველომ შეძლოს თავიდან აიცილოს მისთვის ყველაზე უარესი სცენარით, სამხედრო ძალადობრივი გზით მოვლენების განვითარება.

**– ბატონო ირაკლი, საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება მოსაზრებისადმი, რომლის თანახმადაც კოსოვოს პრეცედენტის შექმნით დასავლეთი და ვაშინგტონი რუსეთში სეპარატისტული პროცესების დაჩქარებას ცდილობენ. თქვენ ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?**

– არა, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. შეთქმულების თეორიების არ მჯერა. ჩვენ ასეთი თეორიების მიმართ ზედმიწევნით ფრთხილად უნდა ვიყოთ. მიზეზი ასეთი დამოკიდებულებისა თითქმის ნათელია, დასავლეთში მიაჩნიათ, რომ კოსოვოში, ალბანელების მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფონზე, ამ ეტაპზე საჭირო არის მიღწეული იყოს კოსოვოს მაქსიმალური იზოლირება საერთო სერბული სახელმწიფოსგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი დაპირისპირება და შემდგომი შანსები ძალადობრივი წინააღმდეგობისა.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერს. კოსოვოს შემუშავებული სტატუსი – სუვერენიტეტის საკმაოდ მაღალი ელემენტების შემცველია, მაგრამ მაინც საბოლოოდ, საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებლობის წინადადება არ გახლავთ. ვფიქრობ, კოსოვოს სტატუსის განსაზღვრისას ყველას დიდი სიფრთხილე მართებს, უპირველეს ყოვლისა დასავლეთის იმ წამყვან მოთამაშეებს, ვისაც ეს ეხება, იგულისხმება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შემადგენლობა, ვინც გაეროში უახლოეს პერიოდში შესაძლოა ამ თემაზე მსჯელობის პროცესში კვლავ ჩაერთოს.

**კობა ბენდელიანი**
**„ინტერპრესნიუსი"**

◎ განსჯა

# მოულოდნელი არჩევნები

**(მესამე გვერდიდან)**

ოპოზიციურ კანდიდატთა სიჭარბეც ნაკლებად მოსწონს საზოგადოებას, რომ არაფერი ვთქვათ მათ ავტორიტეტზე. გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული პრეზიდენტობისა და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატები ისე არ აღიქმება ხალხის მიერ, როგორც ოპოზიცია ისურვებდა. საზოგადოება უფრო მოარულ მოსაზრებას უჭერს მხარს, ანუ ცნობილი ქართველი ბიზნესმენის კანდიდატურას, რომლის ხალხზე ზრუნვა ყველამ იცის. უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში მყოფ ქვეყანას სწორედ გამოცდილი, ქვეყნის მოსიყვარულე, საქმიანი პროფესიონალი სჭირდება და არა პარტიული რუპორი. პარტიული აქტივისტებით დაკომპლექტებულმა თინეიჯერულმა ხელისუფლებამ 4 წლის მმართველობის შედეგად ხალხს ალერგია გაუჩინა ახალგაზრდობაზე. არაფერია დასაძრახი იმაში, თუ ოპოზიციური პარტიები და არა მარტო ისინი, არამედ ფართო საზოგადოება გადარჩენისთვის მიმართავს მას. ერთხელ და სამუდამოდ, 17 წლის შემდეგ მაინც, აღარ უნდა დადგეს დღის წესრიგში, ქვეყნის გადარჩენისთვის გამოცდილ პროფესიონალთა ხელისუფლებაში მოსვლის საკითხი? ნუთუ პრეზიდენტად გახდომისათვის მხოლოდ პარტიის ან თუნდაც რამდენიმე პარტიის სუბიექტური მოსაზრებაა მთავარი?

ზოგი პოლიტოლოგი პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატში დადებითობასაც ხედავს, ვინაიდან არჩევანის დიდ შანსს იძლევა, როგორც სუპერმარკეტში. ამ მოსაზრებას მაშინ დავეთანხმებოდი, ქვეყანაში რომ კრიტიკული ვითარება არ იყოს შექმნილი, გარდა ამისა, რომ თანაბარ ბრძოლაში მხოლოდ ის გავა მეორე ტურში, ვინც მეტ ხმებს დააგროვებს, ცხადია გაყალბების გარეშე. აქ კი სულსწრაფობით ცნობილი საქართველოს ხელისუფალი ყველაფერს იღონებს პირველ ტურში გამარჯვებისათვის.

ვიდრე საქართველო შიდა პრობლემებშია ჩაფლული, არავის გახსენებია, უფრო სწორედ სხვათა შორის გაახსენდათ რუსეთის სამხედრო ბაზის ბათუმიდან გასვლა. სხვა შემთხვევაში ხელისუფლება დიდ ცეკვა-თამაშს გამართავდა, ბათუმის ცას კი ფეიერვერკი დაამშვენებდა. რუსეთმა შეასრულა სტამბოლის ხელშეკრულება. მან ვადაზე ადრე გაიტანა ბაზა. ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ რუსეთს განცხადება რომ სულაც არ არის ჰაერში მუქარით ნასროლი ლიტონი სიტყვა, რუსეთის პრეზიდენტმა და სახელმწიფო სათათბირომაც დაამტკიცა. მათი გადაწყვეტილებით რუსეთმა ჯერჯერობით შეაჩერა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებით შესრულება. ხელშეკრულებას 1990 წელს მოეწერა ხელი პარიზში, 1999 წელს კი განახლებულ ვარიანტს – სტამბოლში, ეუთოს სამიტზე. ხელშეკრულებას რატიფიკაცია მხოლოდ რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ და ყაზახეთმა გაუკეთეს. აშშ-ა და ნატოს ქვეყნებმა თავი შეიკავეს, ვინაიდან ითხოვდნენ დნესტრისპირეთიდან და საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანას. დასავლეთის თვალში სწორედ ბაზების გატანის პროცედურების დაწყება იყო მთავარი მოტივი რუსეთისათვის, რომ ის პირნათლად ასრულებს ხელშეკრულების მოთხოვნებს და არა საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მიერ რუს კოლეგასთან ბრძნულად წარმართული მოლაპარაკება, როგორც ეს დიპლომატიაში ნაკლებად ჩახედულს ჰგონია. არც ზურაბიშვილის მიერ გამოყენებულ უცხოურ სიტყვას ზურაბიშვილისეული ქართული განმარტებით, ნუ გაატ...კე" უმოქმედია ჯადოსნურად ლავროვზე. მთავარი იყო დასავლეთის მოთხოვნა. რუსეთმა შეასრულა დანაპირები, და კატეგორიულად მოითხოვს აშშ-ს და ნატოს წევრი ქვეყნებისგან სტამბოლის ხელშეკრულების რატიფიკაციას, მანამდე კი თავს იკავებს ხელშეკრულების სხვა მოთხოვნების შესრულებისაგან. რუსეთის პოზიცია აშფოთებს ვაშინგტონს, რომელიც მზად არის, განაახლოს მოლაპარაკებები მოსკოვის მოთხოვნების გათვალისწინებით. ცნობისთვის, რუსეთი კი შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს სამხედრო ხარჯების და შეიარაღების ზრდით, რაც, მისი აზრით, აჭარბებს ხელშეკრულების მოთხოვნებს.

ვიდრე მოსკოვ-ვაშინგტონი ამ და სხვა მწვავე საკითხებზე მოლაპარაკებით არიან დაკავებული, საქართველოს სხვა პრობლემა აქვს გადასაჭრელი. ეს არჩევნებია. დღესაც ხშირია მოსახლეობის იმედგაცრუებული ნათქვამი – რა აზრი აქვს არჩევნებზე მისვლას, მაინც გააყალბებენ. და მიუხედავად ნაკლებად ოპტიმისტური განწყობისა, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოიხადოს მოქალაქეობრივი ვალი, იქნებ ამჯერად გაგვიმართლოს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ქვეყანა

კონტრაქტის მიხედვით კომპანია „ლინქსს“ ყველანაირი უფლება აქვს იმისა, რომ უკან დაიბრუნოს ატრაქციონები და სხვა დანადგარები იმ შემთხვევაში, თუ მერია თავისი მხრიდან შეწყვეტს კონტრაქტს. კონტრაქტის მიხედვით ამ ატრაქციონების და დანადგარების გამოყენება ან გაყიდვა დაშვებული არ არის



პოზიცია

# მთაწმინდა ჩაფიქრებულა...

**არც პოლიციისა და მერიის წარმომადგენლებს, მთაწმინდის პარკში რომ შეიჭრნენ და დალუქეს იგი, აწყენდათ დაფიქრება, რამდენად კანონიერი იყო მათი საქციელი!**

**მას შემდეგ, რაც პოლიცია და მერიის წარმომადგენლები 2007 წლის 7 ნოემბერს მთაწმინდის პარკში არაკანონიერად შემოიჭრნენ და პარკი დალუქეს, გვინდა რომ გათვალისწინებული იყოს შემდეგი:**

მიუხედავად მერიის განცხადებისა იმის შესახებ, რომ პარკი არც დასრულებულია და არც გასახსნელად არის მზად, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მთაწმინდის პარკი სრულად ფუნქციონირებადი პარკია, რომელიც 2007 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ამუშავდა. პარკს დაახლოებით 80.000 სტუმარი ჰყავდა.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თუ პარკი გამოცდილი მენეჯმენტის, მომზადებული პერსონალისა და შემოწმებული დანადგარების გარეშე გაიხსნება, ეს დიდ საფრთხეს შეუქმნის პარკის სტუმრებს. პარკის პერსონალმა მხოლოდ საწყისი ტრეინინგის გავლა მოასწრო და უცხოელი კონსულტანტებისა და ქართველი გამოცდილი მენეჯერების გარეშე ვერ იმუშავებს. კვალიფიციური მენეჯმენტის კონტროლის გარეშე ატრაქციონებით მოსარგებლეთა უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მენეჯმენტის კონტროლი მოიცავს ყოველდღიური ტექნიკური და სპეციალურ უსაფრთხოების შემოწმებას. ამჟამად ქართველ ტექნიკურ პერსონალს არა აქვს შესაბამისი გამოცდილება იმისათვის, რომ უზრუნველყოს სრულიად დამაკმაყოფილებელი შემოწმებები. ტექნიკური სამსახური უცხოელი კონსულტანტების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, რომლებიც კომპანია „ლინქსის“ მიერ არიან დაქირავებულები. კომპანია „ლიქსმა“ დაიქირავა კვალიფიციური მენეჯმენტი, რომელმაც დაამტკიცა პარკის ამუშავების შესაძლებლობები უსაფრთხოების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ პარკი სხვა კომპანიის ზედამხედველობით ამოქმედდება, კომპანია „ლინქსი“ იხსნის პასუხისმგებლობას სტუმრების უსაფრთხოებაზე.

თითოეულ ატრაქციონს სჭირდება ყოველწლიური ინსპექცია. ატრაქციონების სერტიფიკატების მფლობელი არის კომპანია „ლინქსი“; ეს სერტიფიკატები არ შეიძლება გადაეცეს სხვა კომპანიას. ისინი ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარკის ოპერატორი კომპანია „ლინქსია“. კომპანია „ლინქსი“ არავის არ აძლევს იმის უფლებას, რომ ატრაქციონები ან სხვა დანადგარები მისი ზედამხედველობის ან უფლების გარეშე გამოყენონ. კომპანია „ლინქსის“ ზედამხედველობის გარეშე ატრაქციონების ამუშავება არალეგალურად ჩაითვლება.

კონტრაქტის მიხედვით კომპანია „ლინქსს“ ყველანაირი უფლება აქვს იმისა, რომ უკან დაიბრუნოს ატრაქციონები და სხვა დანადგარები იმ შემთხვევაში, თუ მერია თავისი მხრიდან შეწყვეტს კონტრაქტს. კონტრაქტის მიხედვით ამ ატრაქციონების და დანადგარების გამოყენება ან გაყიდვა დაშვებული არ არის.

**ჯონ ელისი,**
**პროექტის კონსულტანტი.**
**მთაწმინდის პარკი**

მხარე

# დედოფლისწყაროში საბავშვო ბაღები არ დაიხურებაო

**ცნობილია, რომ დედაქალაქსა და რეგიონებში სხვადასხვა მიზეზის გამო, ბევრი საბავშვო ბაღი დაიხურა. დედოფლისწყაროს გამგეობაში განმარტავენ, რომ ამ მხრივ რაიონში არცთუ ცუდი მდგომარეობაა და არც ბაღები დაიხურება.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით იხელმძღვანელა და შექმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის ქსელის ნორმალურ ფუნქციონირებას, ბავშვთა და მოსწავლეთა აღზრდისა და დასვენებისათვის სათანადო პირობების შექმნას. აღნიშნულ დაწესებულებას კურირებას უწევს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი მოდებაძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის დირექტორად მურად ოზაშვილი დაინიშნა. ახლახან, დედოფლისწყაროს გამგეობის პრეს-სამსახურმა მურად ოზაშვილის კომენტარი გაავრცელა, იგი ირწმუნება, რომ დედოფლისწყაროში საბავშვო ბაღები არ დაიხურება.

„სპეციალისტებმა შეისწავლეს რაიონის 19 სკოლამდელ დაწესებულებაში აღსაზრდელების რაოდენობისა და შენობების მდგომარეობის საკითხები. კონტინგენტის სიმცირისა და შენობების უვარგისობის გამო, დაიხურა სოფელ სამთაწყაროს №1, ქვემო ქედის №2, ზემო ქედის №2 და ქ. დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღები. მათში გაერთიანებული აღსაზრდელები სხვადასხვა ბაგა-ბაღში გადანაწილდნენ. ასე რომ, არც ერთი სოფელი არ დარჩენილა ბაღის გარეშე. დღეისთვის სკოლამდელ და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრში გაერთიანებულია 15 ბაგა-ბაღი. მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, სუბსიდირების სახით, ჩვენი ცენტრისთვის გათვალისწინებული იყო 263 000 ლარი, ახალი სასწავლო წლისთვის ყველა საბავშვო ბაღს შევუძინეთ სასწავლო და სამეურნეო ნივთები, ასევე სათამაშოები; დავიწყეთ მზადება ზამთრის სეზონის შესახვედრად, შევაკეთეთ სოფელ ზემო ქედის და ქვემო ქედის ბაგა-ბაღების შენობების სახურავები.



15 საბავშვო ბაღის ყველა აღსაზრდელის მშობელთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, იგი ითვალისწინებს, ფიზიკური, გონებრივი და სულიერი აღზრდისთვის საჭირო პირობების შექმნას, დღეში ორჯერბალანსირებულ კვებას, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვას“ – ამბობს ოზაშვილი.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

არჩევნები

# შეიცვალა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი

**2008 წლის 5 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ძალაში შევა საარჩევნო კოდექსში შეტანილი შემდეგი ცვლილებები. ეს ცვლილება ეხება პირველ რიგში საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესს.**

მოქმედი კანონმდებლობით, ცესკოში 7 კანდიდატს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი. ცვლილების თანახმად კი 6 კანდიდატს აირჩევს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი, 7 კანდიდატს დანიშნავენ პარტიები – ნაციონალური მოძრაობა, ლეიბორისტები, კონსერვატორები, რესპუბლიკელები, მრეწველები, ახლები, თავისუფლება.

ამასთან ცსკოს წევრებად შესაძლებელია დაინიშნონ ის პირები, რომელთაც არ აქვთ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატი. ამასთან, ვინაიდან ცესკო უკვე დაკომპლექტებულია თავის წარმომადგენლებს დაამატებენ დასახელებული პოლიტიკური პარტიები გარდა ნაციონალური მოძრაობისა. ამ არჩევნებისთვის მათ კანდიდატად ჩაითვლება ცესკოს მეშვიდე წევრი.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესს, მოქმედი კანონმდებლობით საუბნო კომისიაში სამი წევრი ინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. ორ-ორი წევრი ინიშნება ნაციონალური მოძრაობა, ლეიბორისტების და საარჩევნო ბლოკის მრეწველები-ახლების მიერ. ცვლილების თანხამდ კი 6 წევრი დაინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, 7 წევრს კი დანიშნავს ზემოთ დასახელებული 7 პარტია. რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიას, კომპეტენციები გადადის ცესკოსა და საარჩევნო უბანში. საოლქოს რჩება მხოლოდ ადმინისტრაციული გამტარი მექანიზმი. მაგალითად, ოლქს აღარ ექნება უფლება, გააბათილოს უბნის შედეგები. ცვლილების თანახმად, ცესკო ხმათა 2/3-ით იღებს უბნის გაუქმების და კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის გადაწყვეტილებას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში და კონსტიტუციაში შედის ცვლილება, რომლის თანახმადაც უქმდება მაჟორიტარული არჩევნები და შემოდის რეგიონალური პროპორციული სიით არჩევნები.

როგორც კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, ამ ცვლილებით მხარეს, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა, პარლამენტში გარანტირებული წარმომადგენელი ეყოლება. მაგალითისთვის რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი სახელდება.

აღნიშნული ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, რაც პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს მიიღებს.

გარდა ამისა, რაც მთავარია, პრეზიდენტობის კანდიდატებს ექნებათ უფასო საეთერო დროის გამოყენების საშუალება.

ამჟამად მოქმედი კოდექსი არ ითვალისწინებს საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის უფასო საეთერო დროს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## ოპოზიციის მიტინგს ვადა დაუთქვეს

**თბილისის მერიამ ოპოზიციურ პარტიებს გაფრთხილება მისცა, რომ 25 ნოემბრის მანიფესტაცია დაიწყება 14 საათზე და დასრულდება 18 საათზე.**

ამის შესახებ განცხადება მერიამ გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა 19 ნოემბრის განცხადებაში მხოლოდ 25 ნოემბრის მანიფესტაციის მიზანზე, დროსა და რაოდენობაზე მიუთითეს. ამ განცხადების მიხედვით, ოპოზიციონერები იტყობინებოდნენ, რომ მანიფესტაციის ჩატარების მიზანი სიტყვის თავისუფლების დაცვა, ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენა იყო. ასევე, ისინი მოითხოვდნენ, რომ მანიფესტაცია ევროპის მოედნიდან ბარათაშვილის ხიდის გავლით მოწყობილიყო, მსვლელობით რუსთაველის გამზირისკენ, კერძოდ, პარლამენტთან.

ოპოზიციის მოთხოვნით, მანიფესტაციაში მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა 30 000 ადამიანია.

ინიციატორებსა და ორგანიზატორებს შორის 4 პოლიტიკური პარტია და 4 პასუხისმგებელი პირი იყო მითითებული.

## გრიგალაშვილი წინასაარჩევნოდ გულუხვი ხდება

პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი ითხოვს, რომ იმ მეცნიერმუშაკებმა, რომლებიც იღებენ სტიპენდიას, პენსიაც აიღონ. ეს მოთხოვნა გრიგალაშვილმა გუშინ რიგგარეშე ბიუროს სხდომაზე დააყენა.

მან სხდომაზე წაიკითხა ერთ-ერთი მეცნიერ-მუშაკის წერილი, სადაც იგი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სტიპენდიის პროფესორებს უფლება არ აქვთ პენსიის დანიშვნის და ისინი ვერანაირი შეღავათით ვერ სარგებლობენ.

შეგახსენებთ, საკითხი ეხება იმ მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც სამეცნიერო დაწესებულებებში აღარ მუშაობენ და სახელმწიფოსაგან იღებენ სტიპენდიას 5 წლის განმავლობაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 229. ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

# რა დღეშის ვართ...

● მე ვიტოვებ იმედს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა ჩემს გულისწყრომას გაიზიარებს. მე ვიცი, „საზოგადოება ქუთაისელი“ ამ ამბავს გულწრფელად მოეკიდება და თავის სიტყვას იტყვის

№ 229. ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

◎ ვაი, რას მოვესწარით!

# სხვადასხვა დროში ბოროტება სხვადასხვა სახით ვლინდება...



მემორიალის რელიეფის ერთი ნაწილი გამოგლეჯილია! ის ჩემი გულის ნაწილია. ამიტომ ჩემი გულისტკივილი თუ მძაფრად გამოვხატე, მომიტევეთ.

(პირველი გვერდიდან)

უნდა მოგახსენოთ, რომ როდესაც ღვთისმეტყველება (ღმერთზე სიტყვის თქმა) დანაშაულად ითვლებოდა, როდესაც წმინდანებს გმობდნენ, მე ზემოთ ხსენებული მემორიალის კომპოზიციის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილას შუბოსანი გამოვხატე.

სხვადასხვა დროში ბოროტება სხვადასხვა სახით ვლინდება, ჩვენს დროს უბოროტესი ურჩხული მოევლინა — ფაშიზმი. სწორედ არსებული სიმბოლიკით ურჩხულის ადგილას გამოვკვეთე ფაშისტი, რომელსაც შუბით გმირავს წმინდა გიორგი. კაცობრიობის ისტორიაში იგი გვევლინება ბოროტების დამმარცხებლად, ამიტომაც მოვაქციე კომპოზიციის გვირგვინად.

დღეს, როდესაც ღმერთი კვლავ ვიწამეთ, როდესაც წმინდა გიორგი ხატია ჩვენი და სულიერებისაკენ ვისწრაფით, შუაგულ ქალაქში მემორიალი ავაზაკებმა დაარბიეს, ალბათ გაძარცვის მიზნით, რელიეფი გამოანგრიეს! ხვალ ცხენოსან „მხედრს“ შეეხებიან გასანადგურებლად, რომელიც იმერთა მშვენიერების, მათი ცხოვრების არსის სიმბოლოდ გამიკეთებია, მაგრამ, ვაგლახ, რომ სტომაქის ღირსება უფრო ფასობს. ფუი, იმ ქუთათურს, რომელიც საკუთარ ღირსებას და მშვენიერებას პატივს აყრის და მიენდობა საწუთროს სიმახინჯეს!

საკვირველია, პეტერბურგელმა ქალბატონმა ლიდია ლებედინსკაიამ თქვენი მემორიალის ნახვით აღფრთოვანებულმა, ჟურნალ „ნევის“ მეშვეობით მთელ მსოფლიოს ამცნო ამ ძეგლის მაღალმხატვრულობა და ღირსება, მნიშვნელობა, ქუთათური კი არბევს მას!

თქვენ, მშვენიერნო, ამაღლებული სულის მატარებელნო, ქართველნო! სად გაქრა თქვენი ხედვის ესთეტიკური კრედო, ასე გამორჩევით და ჭარბად რომ იყო თქვენს ჯიშში. განა დღევანდელ დღეზე ნაკლები მძიმე დღეები გადაუტანია თქვენს წინაპარს, ციხე-კოშკები, ტაძრები რომ აღაშენა და დაგიტოვათ.

ავაზაკი იმიტომაა ავაზაკი, სიბილწე უნდა ჩაიდინოს, დაანგრიოს, დააქციოს, ხოლო სიკეთემ უნდა აღაშენოს. ერთი ლიტერატურული გმირის არ იყოს „ასეა ეს“

უნდა შეაკეთოთ! ეს უბრალო, რიგითი შინმოუსვლელთა ძეგლი არ არის. აქ სიღრმეა მომავლის ჭვრეტისა. უნდა მოუაროთ, აღადგინოთ. მემორიალი ჩვენს საუკუნეშია შექმნილი და, თუ მომავლის გწამთ, დაუტოვეთ ჩვენი ფიქრი და განძი მომავალ თაობებს.

როცა ზარი რეკს, ადამიანის სულში ემოციური ძვრები ხდება. თქვენთან მემორიალზე კი სდუმან, ბუტაფორიად ქცეულან. რატომ? ზარი ჭეშმარიტების მსახურია, ბატონებო, და არა სიყალბის.

ბატონებო! მიუხედავად არსებული მძიმე მდგომარეობისა, ყველასთვის ნათელია და ცნობილი, თუ რამდენი სიკეთე გაკეთდა თქვენს ქალაქში; რამდენი მისაბაძი სიახლეა წამოწყებული და როგორი სიყვარულით ეკიდებით საქმეს, რასაც ეროვნული ჰქვია! ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ თქვენ ამ საქმეს უყურადღებოდ არ დატოვებთ.

მე მიყვარს ქუთაისი და მინდა, რომ მარად მიყვარდეს!

პატივისცემით

**მერაბ ბერძენიშვილი.**

*თბილისი, 1992 წელი.*

ამ წერილს ქუთაისში ქომაგიც გამოუჩნდა, ადგილობრივ გაზეთში ითქვა ამის შესახებ. მაგრამ მერე რა მოჰყვა? არაფერი! მართალი გითხრათ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ვერიდებოდი ხელოვნების მაღალ იდეალებზე საუბარს, მაგრამ რადგან ღმერთმა ადამიანს სულიერება დაუწესა, თავს უფლებას ვაძლევ, ვთქვა სათქმელი.

ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, ლენინგრადის ბლოკადის დროს მშიერმა, დაუძლურებულმა ხალხმა როგორ გადაურჩინა სულიერი სიმდიდრე მომავალ თაობებს. დიახ, სულიერება კულტურისა და ღირსების წყაროა, რომლის დეფიციტია დღეს ჩვენს ქვეყანაში. თუ რამ უბედურება გვჭირს, სწორედ სულიერების დაკარგვის, უკულტურობის შედეგია. ნათლად ჩანს, როგორ დაიმონა სტომაქმა ზოგიერთი ადამიანის სულიერი სამყარო.

საწუთრომ ქართველ კაცს უჩვეულო საქმე დააწყებინა — წვრილვაჭრობა, რომელიც ცხოვრების წესად უქცია. მისთვის მხოლოდ ეს გახდა საფიქრალი.

*„დე სხვამ იზრუნოს მრავალსაუკუნოვან კულტურაზე, ტრადიციებზე, მომავალზე, მათი ფიქრი დღეს ბაზარია, ბაზარი! ბაზარი, რომლის ტერიტორიაზე ისმის ოდესური სიმღერები „ბლატნოი“ კოლკასი „დრალაფუ-ტრალალა“, რომლის მოსმენა არავის ეხამუშება; სიმღერა, რომელიც ჯიხურებიდან ისმის ჩახლეჩილი ხმით, არავის აწუხებს. ნახეთ, როგორ დაყრილან ასფალტზე ამაყი ქართველები, ყიდიან ჭანჭიკებს, კანალიზაციის მილებს, ჩანგლებს, ფორთოხლებს, უნიტაზებს, ტკბილეულს, არაყს, არაყს გაუთავებლად, არაყს...*

*ფონს ავსებს „დრალაფუ-ტრალალა“. აქ დოლარებზე იყიდება ყველაფერი: სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, კაცი, ქალი, ნიჭი, ჯიხური, საფლავი. ეროვნულ კუპონზე იყიდება სიცრუე. აქ უფასოდ სინდის-ნამუსია, რომლის მსურველი ძალზედ ცოტაა. ნახეთ, რა დღეში არიან გრიგოლ რობაქიძის საამაყო ქართველები“* (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1995 წლის სექტემბერი, მ. ბერძენიშვილი).

ამ არაქართული სულის გზაზე დადგომის შესახებ და მის მიზეზზეც ჯერ კიდევ ადრე ვწერდი. დღესაც გრძელდება ამ ფსიქიკით ლაჩრული ცხოვრება, ვერაფერს ვამჩნევთ, ვერაფერს ვხედავთ.

ადამიანებო, ჩემო ქუთაისელო მოქალაქენო, ცხოვრების არსი ღირსებაშია, საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა, მაღალზნეობის ქვეყანაა, ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს, ვითარცა ღმერთი. ასე ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები, ასე ფიქრობდნენ ის ვაჟკაცები, ფაშიზმს რომ აღუდგნენ წინ და გმირულად დაეცნენ ბრძოლაში. ქუთაისის მემორიალი მიეძღვნა იმ ღიმილის ბიჭების არდავიწყებას, რომლებმაც მკერდით დაგვიცვეს ჩვენ მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ბოროტებისგან და სიცოცხლე გაწირეს. დღეს ზნედაცემული ადამიანი, რომელსაც არ აქვს უნარი, აღიქვას მემორიალის მნიშვნელობა, ანადგურებს, ძარცვავს, ანგრევს ძეგლს, რომელიც მომავალ თაობებს ეკუთვნის. ეს უბრალოდ ავაზაკობაა, ხოლო ასეთი ქმედებისადმი გულგრილი დამოკიდებულება დანაშაულია. დიდი უპატივცემულობა იმ მამაცი ვაჟკაცების მიმართ, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ, უპატივცემულობაა იმ დედებისადმი, რომლებმაც სამშობლოს ჭეშმარიტი ვაჟკაცები აღუზარდეს.

ქუთაისის მემორიალის კომპოზიციის ცენტრალურ ნაწილში სწორედ დედის სიმბოლოა გამოსახული, რომელსაც მძარცველებმა მკერდი გამოფატრეს, გამარჯვებულ მხედარს კი ხმალი მოახერხეს. ვაი სირცხვილო! იმის მაგივრად, რომ მემორიალზე არსებული ზარები რეკდნენ, მათ იპარავენ და თურქეთისკენ მიაქანებენ გასასყიდად. ვაი სირცხვილო! და ბოლოს, ხელოვნება არაფრად გვილირს!

იქნებ ვინმე ზოგიერთებივით მონუმენტურ ხელოვნებას საბჭოთა გადმონაშთად თვლის? მაშინ მათ გასაგონად ვიტყვი, ასეთი პრიმიტიული ახსნა ხელოვნების არსისა მხოლოდ უმეცრებაზე, გაუცნობიერებაზე მეტყველებს. რა ვუყოთ მაშინ მსოფლიოში არსებულ შედევრებს, მაშინ რომ იქმნებოდა, როცა დემოკრატია არ იყო; რა ვუყოთ რომის იმპერიის დიდებულ დანატოვარს — მონუმენტურ არქიტექტურას და ქანდაკებას, რომელსაც კაცობრიობის მონაპოვრად თვლიან. მსოფლიოში აღიარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ქვეყნის მასპინძლად „მშვიდობის“ მონუმენტი აქვს აღმართული და ამაყობს ამით. რიოდეჟანეიროს მშვენიერების აღქმა იესო ქრისტეს მონუმენტით იწყება, თავზე რომ ადგას ქალაქს და საოცარი ბედნიერების განცდას ანიჭებს მოქალაქეებს. არასოდეს უფიქრიათ, რომ იგი გადმონაშთია!

მე მწამს სალი აზრისა, რომელიც წინ აღუდგება ამ ვანდალიზმს. მემორიალს ყოველდღე რაღაცას გლეჯენ. მერე, როცა რკინა-ბეტონის არქიტექტურული ნაგებობა მთლიანად გაშიშვლდება, ყვირილი და ვიშვიში გვიანი იქნება! ნუ დავივიწყებთ, რომ თაობები ჩვენს წინაპართა გმირულ ისტორიაზე, მათ გმირულ მაგალითზე იზრდებოდნენ, ამიტომ ნუ დავამცირებთ ვაჟკაცთა სულს. ჩვენი ქვეყანა ხომ მომავალმა თაობებმა უნდა დაიცვან. იფიქრეთ, ჯერ კიდევ ნორჩებს სულიერება არ შევუღახოთ!

როცა ვიხსენებ ქუთაისელ მშენებლებს, მათ თავდადებულ შრომას, რა სიყვარულით აგებდნენ მემორიალს, როცა ვიხსენებ ქალაქის ხელმძღვანელობას, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას იჩენდნენ ეროვნული საქმის მიმართ, როცა ვიხსენებ მშენებელ ინჟინერს, კონსტრუქტორს, არქიტექტორს და მათ დიდ შრომას, მახსენდება ის მძიმე დღეები და ჯაფა, რომელიც თავად გამიწევია და როცა ნაკუწ-ნაკუწ გლეჯენ ჩემს ხელოვნებას, ჩემი სხეულიც განიცდის ტკივილს, რადგან შემოქმედება ჩემი სულიერების პირმშოა.

ქუთათურები ბაღის კიდეზე დგომისას, გარდა საოცრად გონივრული იუმორისა და ლაღობისა, ქუთაისის ავ-კარგზე მსჯელობდნენ, პოეზიაზე, ცხოვრების წესზე საუბრობდნენ. ასე ვიხსენებ მე მათ. ვაგლახ, რომ ბაღის კიდესთან თქმული იუმორი დიდი ხანია არ მსმენია და მე კი თანადგომის ხმა მინდა მესმოდეს.

ტელევიზორის ეკრანიდან ვიხილე, თუ როგორ მშვენიერდება ქუთაისი, იგი იბრუნებს საკუთარ სახეს, რაც ფრიად სასიამოვნოა. მაგრამ გაუგებარია, ქალაქში გაძარცვული მემორიალი იდგეს და მის აღდგენაზე მოფიქრალი არავინ იყოს.

მე თხოვნით მივმართავ ყოველ ქუთაისელ მოქალაქეს, გამონახოს დრო, მივიდეს მემორიალთან და კარგად დააკვირდეს პირმცინარ ამხედრებულ ჭაბუკს, ცხენზე ლაღად მჯდომს, რომლის სულიერი მხნეობა და სისპეტაკე გამოძახილია თქვენი უკვდავი ჯიშისა. აქ შეიცნობთ რუსთველის გმირთა ნაშიერს, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და უჩანს მღერად.

მე ვიტოვებ იმედს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა ჩემს გულისწყრომას გაიზიარებს. მე ვიცი, „საზოგადოება ქუთაისელი“ ამ ამბავს გულწრფელად მოეკიდება და თავის სიტყვას იტყვის. ვიცი, ქვეყნის ჭირისუფალი ბატონი ოტია იოსელიანი ჩემს გულისტკივილს გაიზიარებს. მწამს, ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, სტუდენტები, ომის ვეტერანები, სპორტული საზოგადოება და განსაკუთრებით დედები ამ საკითხს გულგრილად არ შეხვდებიან. მწამს, ქუთაისელი შემოქმედნი: მწერლები, პოეტები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები სათანადოდ შეაფასებენ ხელოვნებისადმი ასეთ ვანდალურ მოპყრობას და სათქმელს იტყვიან.

ვიტოვებ იმედს, ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც ქუთაისს უბრუნებს იერ-სახეს, ჩაერთვება ამ საქმეში და ამ სამარცხვინო ფაქტის გამო განსაკუთრებულ ზომებს მიიღებს.



**მერაბ ბერძენიშვილი.**

2007 წლის 20 ნოემბერი

● ამ შემთხვევაში ქვეყნის ხელმძღვანელობას საშუალება ეძლევა, გაისტუმროს წინა ხელისუფლების მიერ გაძარცული მეანაბრეები და აღადგინოს სოციალური სამართლიანობა



◎ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

# „არჩევნებამდე სამარე ვარ!..“

**„ნაციონალებს“ რომ 40 წლის ზემოთ ყველა ხანშიშესულის სიკვდილი ეჩქარებათ, საყოველთაოდ ცნობილია.**

ჯერ გაზის კამერები არ დაუდგამთ სადარბაზოებში, მაგრამ ფასების ზრდით, სოფლის მეურნეობის გაპარტახებითა და შინაური პირუტყვის გეგმაზომიერი „გაჭირიანებით“ კი ეწევიან მოსახლეობის გენოციდს. სტატისტიკის სამმართველოს გამოთვლით, ამ სტრატეგიული ღონისძიებების გამო, თუ მთლად არა, ნახევარი ქართველობა მაინც უკვე უნდა გაწყვეტილიყო, მაგრამ... უცნაური რამ ხდება: შეჩერდა სიკვდილიანობა, პირიქით, გამოჯანმრთელდნენ ჭალაროსნები, დაიარებიან ყინჩად (ის კი არა, აქაიქ თმებიც კი უშავდებათ!) და ქეიფსაც უმატეს ბოლო დროს.

ამას წინათ, ერთ მტკვრის სანაპიროს რესტორანში მეც გახლდით სამ ჭალაროსან ძმაკაცთან ერთად. მოკრძალებულ პურმარილს და იმერულ ღვინოს გეახლებოდით და კარგადაც შევჭიკჭიკდით. ის იყო „გაფრინდი შავო მერცხალო“ უნდა წაგვეღიღინებინა სამხმაში, რომ უცბად ათამდე ნაციონალი შემოგრიალდა, ზუსტად ჩვენს გვერდში გააშლევინეს მოზრდილი სუფრა და ხმაურით შეუდგნენ პურობას. თამადა არ აურჩევიათ, ვინც რანგით იყო უფროსი, ის შეუდგა თამადობას და პირველი ჭიქით პრეზიდენტი ადღეგრძელა ფეხზე მდგომელა.

„გაუმარ-ჯოს“ იხუვლა ათივემ ხმაშეწყობილად, დალიეს და დასხდნენ. ორი ლუკმა რომ დააყოლეს და სული მოითქვეს, მხოლოდ ამის მერე შეგვამჩნიეს და ამრეზით გადმოგვხედეს. ამასობაში ჩვენ ყველა გაჭირვებული კაცის ფეხზე დადგომის სადღეგრძელო ჩავათავეთ. საპასუხოდ მეზობელ სუფრაზე, სადაც კარგად ესმოდათ ჩვენი საუბარი, თამადამ „საქართველო – ჩასარეცხების გარეშე“ ადღეგრძელა. ყველამ პიონერული ჟივილ-ხივილით აიტაცა ეს პრეზიდენტისგან შთაგონებული სადღეგრძელო და დალევის შემდეგ მარმარილოს იატაკზე დაანარცხეს ჭიქები მტკიცე ფიცის ნიშნად, რომ მალე ყველას ჩაგვრეცხავდნენ.

სანამ დამლაგებელი ქალები ჭიქების ნამსხვრევებს ხვეტავდნენ, ჩვენ კიდევ ერთი სიმღერა „ჩონგურო“ ჩავახვიეთ დარბაისლურად და დარბაზის ერთ კუთხეში, ფანჯარასთან მსხდომი უცხოელებისგან აპლოდისმენტებიც დავიმსახურეთ.

ნაციონალები დაიბოღმნენ. გამოიძახეს კოსტაიასავით „მეტრდოტელი“ და წესრიგის დამყარება მოსთხოვეს, ანუ რატომ აძლევთ სიმღერის უფლებას რესტორანში ამ ბებრებსო.

„მეტრდოტელმაც“ დიდი ბოდიშის შემდეგ გვთხოვა: „ნუ დაგვღუპავთ, აღარ იმღეროთ, თორემ რესტორანს დაგვირბევენო, ან სულაც დაგვიხურავენო“.

გავჩუმდით. ახლა ჩვენ დავიბოღმეთ და ველოდით მომენტს სამაგიეროს გადასახდელად.

ეს მომენტიც დადგა.

ერთმა წრიპინახმიანმა ნაციონალმა რიტორიკული კითხვა დასვა: „არსებობისთვის ასეთი უბედური პირობები კი შევუქმენით, მაგრამ ესენი მაინც არ კვდებიან, რატომ?“ – და მუქარით გადმოგვხედა ჩასარეცხებს.

გულმა ველარ მომითმინა და მივახალე: „თქვენს ჯიბრზე არა ვკვდებით-მეთქი“.

რაიო? ჯიბრზეო?.. იქ ამბავი ატყდა...

წამოცვივდნენ სკამებიდან, გაივლეს ხელი ზოგმა კოსტიუმის, ზოგმა შარვლის ჯიბეზე. დააძრეს „პარაბელუმები“, „სტეჩკინები“, „მაკაროვები“ და შემოგვერტყნენ გარშემო დედის გინებით. გვაღგანან თავზე პისტოლეტებივით და ჰიტლერივით იღორბლებიან: „საიდანაც გამოძვერით, იქ შეგაძვრენთ მალეო და საერთოდ, აქამდე რატომ არ ჩაძაღლდითო“.

– „კუბოს ფული არ მაქვს, შვილებო, თორე ვინ ოხერი, რავა გაწყენინებთო“, – ამოღერღა ერთმა ჩვენგანმა.

– „არჩევნებში მოგცემთ ხმას და როგორც კი გაიმარჯვებთ, მაშინვე მოვიკლავ თავსო“, – მისცა პირობა მეორემ.

– მე რემონტი მაქვს სახლში, როგორც კი მოვრჩები, ვაჩუქებ სახელმწიფოს და სუფთა სინდისით გავალ გალმა მარილზეო“, – მოიტანა არგუმენტი მესამემ.

მეც, ჩემის მხრიდან, ქვას რომ გახეთქავდა ისეთი მიზეზი მოვახსენე: „ოპერაცია მაქვს გულზე გაკეთებული განსაკუთრებული, უსისხლო მეთოდით, რაც ახალი სიტყვაა გულის ქირურგიაში, რისთვისაც ქართველი ბიჭები ნობელის პრემიაზე არიან წარდგენილი. ამიტომ ვიმყოფები სამეცნიერო-ლაბორატორიული დაკვირვების ქვეშ და არ მაძლევენ სიკვდილის უფლებას, თან ქართველებს ნობელის პრემიის შანსს ვერ დავუკარგავ-მეთქი“. გადაირივნენ. „სად, ვინ გაგიკეთა ოპერაცია, ან ვინ მოგცა მაგის ფულიო“.

მეც ყველაფერი ალალად ჩავუკაკლე.

„დავადგენთ ჩვენ მაგას ყველაფერსო“, – დამემუქრნენ მეც და ჩემს კეთილმყოფელ ექიმებსაც.

გამისკდა კინაღამ ეს ნაოპერაციევი გული... მთელი ღამე ვერ დავიძინე. ეს რა ვქენი, ჩემი გადამრჩენელი ხალხი ჩავუშვი-მეთქი.

მეორე დღეს, უთენია გავვარდი საავადმყოფოში. მოვუყევი ბიჭებს ყველაფერი და ეჭვიც გავანდე: „შეიძლება თავს დაგესხან ჩემს გამო და საავადმყოფოც საერთოდ გააუქმონ-მეთქი. ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენ მაინც მზად იყავით ყოველი შემთხვევისათვის-მეთქი“.

აუტყდათ სიცილი, მაგრამ რა სიცილი: „ჩემო ბიძია, ნუ დარდობ მაგას, ჩვენს საავადმყოფოს ხელსაც ვერ ახლებენ, რადგან ჩვენი პაციენტები ძირითადად ან თავად ეგენი არიან, ან მათი მშობლები და ნათესავები, რადგან აქაური ოპერაციისა და მკურნალობის ფული მარტო მაგათი პარტიის წევრებსა და რამდენიმე ბიზნესმენს თუ აქვს. ასე რომ, დაწყნარდი, ჩვენზე ნუ დარდობ და როგორც დაგარიგეთ, ღვინოს სამ ჭიქაზე მეტს ნუ დალევთ – მავნეა თქვენი გულისთვის და ასეთ დავიდარაბაშიც აღარ გაეხვევითო“, – გამაფრთხილეს.

„აგაშენათ ღმერთმა! თქვენ გაიხარეთ და იცოცხლეთ მათუსალას ხნოვანდე, მარა ახლა ის მაინც ამიხსენით-მეთქი, არ მოვეშვი, საკუთარ ბებია-ბაბუებს რატომ უფრთხილდებიან ასე გულმოდგინედ, თუ იცით-მეთქი“.

„რატომ და, დრო და ხელისუფლება რომ შეიცვალოს და გადარეული ხალხი მაგათ კორიდის ხარივით გასათელად გამოეკიდოს, ისევ ბებია-ბაბუის იმედი აქვთ, – ისინი თავიანთი სუფთა წარსულითა და ძველი ავტორიტეტით დაგვიცავენო. ასეთია მათი პრაქტიკული ჭკუა და ლოგიკა“.

„გავიგე, გავიგე... და გაძლევთ პირობას, რომ არც დავლევ და ენასაც დავიმოკლებ, სამარე ვარ არჩევნებამდე-მეთქი“, – მივეცი პირობა და მართლა ვუსურვე ნობელის პრემია.

**ომარ ჩიტაია**

***P. S. ისე, კაცმა რომ თქვას, ნობელის პრემიას მთელი ქართველი ხალხი იმსახურებს ამ ნაცების ხელში ოთხწლიანი გაძლებისათვის.***

*ო. ჩ.*

◎ მოკლული პროექტი

# რატომ ვექცევით ჩვენს წყალს ასე უწყალოდ?!

## კიდევ ერთხელ ეროვნული სიმდიდრის გამო

**უკვე რახანია, მით უფრო ამ ბოლო წლებში, გამუდმებით გვესმის, რომ ჩვენს ხალხს, უპირველეს ყოვლისა, სურს დემოკრატია, თავისუფლება, საკუთარი ტერიტორიების დაბრუნება, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანება და, რაც ყველაზე მთავარია, გაუსაძლისი ეკონომიკური პირობებიდან თავის დაღწევა.**

ყველაფერი ეს აუცილებელიცაა და საშურიც, მაგრამ უწინარესად მაინც, სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს ეკონომიკური სიდუხჭირისგან თავის დაღწევის გზა, რათა ხალხი ეკონომიკურად წელში გაიმართოს, თავი დააღწიოს კატასტროფულ სოციალურ კრიზისს. ჩემი აზით, ეს უმთავრესია, რადგან უხალხოდ არ არსებობს სამშობლოც კი.

ეს, ცხადია, ადვილი მისაღწევი არ არის, თუმცა არც შეუძლებელია: ჩვენს სახელოვან მეცნიერებს მონახული აქვთ რეალური და უმოკლესი გზა საქართველოს სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისთვის, რომლის თაობაზეც ქვემოთ მოგახსენებთ:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოში მტკნარი სუფთა სასმელი წყლის საშინელი დეფიციტია. „გაეროს“ მონაცემებით, ყოველწლიურად ათობით მილიონი ადამიანი იღუპება უწყლობით თუ უხარისხო წყლით დასნებოვნებისგან.

უაღრესად საყურადღებოა ისიც, რომ სუფთა წყლის ფასი უკვე თითქმის გაუტოლდა ბენზინის ფასს, „გაეროს“ მონაცემებით კი უახლოეს წლებში ბენზინზე მესამედით ძვირი ეღირება.

საქართველოს აქვს 26 ათასი მდინარე და ჭარბი მიწისქვეშა მტკნარი წყალი. თანაც წყალი არ არის ბენზინივით და გაზივით გამოლევადი პროდუქტი, იგი მუდმივად განახლებადია – რამდენსაც აიღებ, იმდენითვე შეივსება. ე.ი. ის არასდროს გამოგველევა, თუ ჩვენს ტყეებს შევინარჩუნებთ.

მტკნარი და სუფთა წყალი ბევრ ქვეყანას აქვს, მაგრამ საქართველო თავისი სასმელი წყლების ბუნებრივი მარაგებით, ასევე მათი ხარისხობრივი უნიკალური თვისებებით ერთ-ერთი პირველთაგანია მთელ მსოფლიოში. ამასთანავე, ჩვენი ქვეყანა მდებარეობს სასმელი წყლის ყველაზე მეტად დეფიციტური ქვეყნების ახლოს, რაც აღნიშნული იყო მექსიკის 2007 წლის მსოფლიოს კონგრესზე, რომ ის დაკავშირებულია აფრიკის უდიდეს კონტინენტთან საზღვაო და სახმელეთო გზებით, რომ წყლის მკვეთრ დეფიციტს განიცდის დედამიწის ქვეყნების ორი მესამედი.

ჩვენი მტკნარი წყლების სამრეწველო მარაგების მხოლოდ ერთი პროცენტის ჩამოსხმა-რეალიზაციას შეუძლია 2-ჯერ გაზარდოს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები, თანაც ძალიან მალე.

თქმა იოლია, ქმნა – ძნელიო, იტყვის ალბათ ამაზე ზოგიერთი. მაგრამ საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ცნობილი ინვესტორი არწმუნებს საქართველოს პრეზიდენტს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ ის მზად არის, 2,1 მილიარდი დოლარით უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე წყლის ჩამომსხმელი ქარხნების, პორტების, სპეციალური ტერმინალის, გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც წყლის ინდუსტრიის მთელი კომპლექსისთვის არის საჭირო და, რაც ყველაზე მთავარია, მთელი ჩამოსხმული წყლის რეალიზაციასაც თვითონ კისრულობს.

ამ შემთხვევაში ქვეყნის ხელმძღვანელობას საშუალება ეძლევა, გაისტუმროს წინა ხელისუფლების მიერ გაძარცული მეანაბრეები და აღადგინოს სოციალური სამართლიანობა.

საერთაშორისო აუდიტორი ელემენტალურად შეაფასებს მტკნარი წყლის რესურსებს, როგორც განახლებად პროდუქტს და განხორციელდება მისი მატერიალიზება ფასიანი ქაღალდების სახით, რომლის გარკვეული ნაწილი, როგორც კომპენსაცია, დაურიგდება გაღატაკებულ მოსახლეობას, რაც საშუალება მოგვცემს, განვახორციელოთ ქუვეითის მსგავსი სოციალური სამართლიანობის მოდელი.

უწმინდესმა და უნეტარესმა ორ ეპისტოლეში მოუწოდა მთავრობას, რომ მტკნარი წყლის რესურსის სახით გაყიდვა არ შეიძლება, რადგან ის ხალხის საკუთრებაა, და ხალხის კეთილდღეობასა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას მხოლოდ მზა პროდუქციის სახით რეალიზაციის გზით უნდა მოხმარდეს.

ეს ძალზე საჭირო მეცნიერული და გამოყენებითი სამუშაო ორჯერ დეტალურად განიხილეს საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმებმა. მას მიეცა უმაღლესი შეფასება და ეთხოვა საქართველოს პრეზიდენტს მისი, როგორც პრიორიტეტული სახელმწიფო პროგრამის განხორციელება.

გამაგებინეთ, ძვირფასო საზოგადოებავ, რა უდგას წინ ამ პროექტის რეალიზაციას?

ვფიქრობთ, ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს სხვა ქვეცნობიერი მიზნები აქვს დასახული, თორემ როგორ შეიძლებოდა დაებლოკათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია და პროგრამა „წყალი ეროვნული სიმდიდრის“ განხორციელება, რომლის რეალიზაციით ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლები 12 მილიარდი აშშ დოლარით გაიზრდება, შეიქმნება 150 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი 800 აშშ დოლარის საშუალო ხელფასით?

ამით ხომ მოიხსნება სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები და გაუმჯობესდება დემოკრატიული მდგომარეობა: დაიწყება ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა-განვითარება, რასაც მოჰყვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაჩქარებული ზრდა, რაც ჩვენი ქვეყნის ყველა მტკივნეული პრობლემის, მათ შორის, უწინარესად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საუკეთესო გარანტია იქნება.

**ლევან მახვილაძე,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი.**

**საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შვიდ ნოემბერს ძალიან მაგრად შეილახა დემოკრატიული იმიჯი, როცა პოლიცია ოპოზიციის მიერ მოწყობილი მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაციის გასარეკად მიაგზავნა**



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რა დაემართა საქართველოს?

**ამიერკავკასიის სამი სახელმწიფო – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი – მუდამ იყვნენ „შუალედური მიწები“, აი, ისეთი „ქვეყნები შუა“: შუა შავსა და კასპიის ზღვათა, შუა ევროპასა და აზიასა, შუა რუსეთსა და ირანსა, შუა ქრისტიანობასა და ისლამსა; ხოლო ბოლო დროს კიდევ – შუა საბჭოთა დიქტატურასა და ევროპულ დემოკრატიასა...**

ვახსენეთ დემოკრატია, მაგრამ ამ თვეში თბილისის ქუჩებში გატეხილმა თავებმა და ცრემლმდენმა გაზმა ერთობ პირქუში ხასიათის რეალიები გვიჩვენა: სამხრეთ კავკასია არა მარტო წინ ვერ მიდის – მიკარგულ მიწად იქცევა, რომელიც თავის ნახევრადდემოკრატიისა და არასტაბილურობის ქრონიკულ მდგომარეობაში გატალახიანებულა და ამ ჭაობიდან ვერანაირი გარე ძალებით ვერ ამოითრევა.

საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შვიდ ნოემბერს ძალიან მაგრად შეილახა დემოკრატიული იმიჯი, როცა პოლიცია ოპოზიციის მიერ მოწყობილი მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაციის გასარეკად მიაგზავნა. დემონსტრანტებს არბევდნენ ხელკეტებით, ცრემლმდენი გაზითა და წყლის ქვემეხებით. მერე პრეზიდენტმა ეთერიდან მოხსნა ორი სატელევიზიო სადგური, ოპოზიციის მხარეზე რომ გამოდიოდნენ (ერთი მათგანი რუპერტ მერდოკს ეკუთვნის) და საგანგებო მდგომარეობა შემოიღო, რომელიც გასულ პარასკევს გაუქმდა. ამის შემდეგ კი იანვარში დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება.

ამ ქმედებათა კონტრასტი იმასთან შედარებით, თუ როგორ მოვიდა სააკაშვილი ხელისუფლებაში, განსაცვიფრებელი და ძალიან უსიამოვნო იყო. „ვარდების რევოლუცია“, რომელსაც ის სათავეში ჩაუდგა 2003 წელს, წარმატებული იმიტომ აღმოჩნდა, რომ თვითნება დიქტატორად მიჩნეულმა წინამორბედმა ედუარდ შევარდნაძემ აღფრთოვანების ღირსი თავშეკავება გამოამჟღავნა. შევარდნაძემ, რომელსაც გაცილებით მეტი მასშტაბებისა და დაძაბულობის პროცესებთან მოუწია შეჯახება, გადაწყვიტა, რომ ძალის გამოყენებისათვის არ უნდა მიემართა. მან არ დახურა ოპოზიციური ტელევიზია და ღირსეულად გადადგა...

ამიერკავკასიაში ყველაზე მეტ შეშფოთებას იწვევს ის, რომ „გაყინული კონფლიქტები“, რომელთა დაწყება 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული ქაოსის დროზე მოდის, სულაც არაა გაყინული. სამივე ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის ზრდის ტემპები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, რასაც მხარეთა ჯიუტი შეურიგებლობა ემატება. საქართველო და რუსეთი ეწევიან ომის ზღვარზე ბალანსირების უპასუხისმგებლო პოლიტიკას იმ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო, რომლებიც თბილისს განუდგნენ და სულ უფრო ექცევიან მოსკოვის კონტროლის ქვეშ. აზერბაიჯანი აძლიერებს თავის საომარ რიტორიკას დაკარგული მთიანი ყარაბაღის საბაბით, სომხეთი კი უბრალოდ აცხადებს, რომ პრობლემა გადაჭრილია და ყარაბახის სომხები გამოყოფილნი არიან. ერთ-ერთ ამ კონფლიქტების ზონაში შეიარაღებული დაპირისპირების წარმოქმნის შანსები მომავალ წლებში სულ გაიზრდება, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ასეთი დაპირისპირების შედეგები კატასტროფული იქნება...

* * *

საქართველო ბოლო დროს რუსეთის ელიტის ძლიერ ზიზღს იწვევს და მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ამ ქვეყანაში ხელს შეუწყობენ პოპულისტური პოლიტიკოსების სულ უფრო აგრესიულ ქმედებებს თბილისის მიმართ. შარშან რუსეთის სამხედრო ავიაცია, როგორც მინიმუმ, სამჯერ ფარულად შეიჭრა საქართველოს საჰაერო სივრცეში. ქართველთა პროვოცირებაზე გათვლილი უფრო ღია ინტერვენციულ ქმედებებს ორ ქვეყანას შორის სახიფათო დაპირისპირების გამოწვევა შეუძლიათ...

ნატოში საქართველოს შესვლის საკითხს სერიოზული პოლიტიკური სარჩული უდევს, რის გამოც ის ერთობ ფრთხილად უნდა გადაწყდეს. ქართველებს თუ ეტყვი, რომ იმათი ქვეყანა ძალიან არასტაბილურია და ნატოს რიგებში მიღებას არ იმსახურებს, რუსეთი რეალურ კარტ-ბლანშსა და შესაძლებლობას მოიპოვებს სიტუაციის კვლავაც დესტაბილიზაციისათვის, ასეთი არგუმენტაციის სისწორის მტკიცებით. არადა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლის პროცესის დაჩქარება ასევე უპასუხისმგებლო იქნება. ნატო ვერ მიიღებს თავის რიგებში ხელთ იმ ორი დაურეგულირებელი კონფლიქტის მქონე ქვეყანას, რომელთა ზონებში რუსეთის მშვიდობისმყოფელნი იმყოფებიან. საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ თუ საქართველო შევა ნატოში ამ კონფლიქტების მოგვარებამდე, რუსეთელი მშვიდობისმყოფელები უბრალოდ მოიხდიან ცისფერ ზუჩებს და „ნატოს აგრესიისაგან“ დამცველებად გადაიქცევიან...

შეერთებულ შტატებსა და ევროპას სამხრეთ კავკასიაში ბლომად აქვს ინტერესი – ენერგეტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ალიანსების შექმნა რუსეთისა და ირანის საპირწონედ, ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასა და ტერორიზმთან. დასავლეთს აგრეთვე აქვს ტაქტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტები – ბოლო ორი კვირის სიგრძეზე არაერთგზის გააგზავნა წარმომადგენლები თბილისში საქართველოს პრეზიდენტის ხელების გადასაგრეხად და დემოკრატიის გზაზე დასაბრუნებლად. ოღონდ არ ჩანს იმის არანაირი დადასტურებანი, თითქოს დასავლეთს ჰქონდეს ზოგადი სტრატეგია მთელი რეგიონისათვის, აგრეთვე მისი განვითარების პერსპექტივების ხედვა. უკეთეს შემთხვევაში ამიერკავკასიის ქვეყნები უბრალოდ გაიჭედნენ, უარესში – ისევ ქაოსში ჩაძირვის რისკს ეწევიან, თუ მათი ლიდერები საკუთარ ხალხებს დაალალატებენ, ხოლო გარშემო მყოფი სახელმწიფოები თავიანთი კონკურირებული ამბიციებით ამ ხალხებს გაჭირვებაში მიატოვებენ.

***თომას დე ვაალი – ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიური რედაქტორი და ავტორი წიგნისა „შავი ბაღი: აზერბაიჯანი და სომხეთი ომისა და მშვიდობის ეპოქაში“.***

THE WALL STREET JOURNAL. ONLINE

# გაცრუებული იმედები

**ოთხი წლის წინათ „ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე, რაც ყოველი პიარისტის ოცნებაა, ენთუზიაზმით აღსავსე მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში შეიჭრა, გახდა რა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. დღეს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, უდიდესი ტელეარხის დახურვის, ინტერნეტისა და მობილური კავშირის გამორთვის, ცრემლდენი გაზის გამოყენების, ქუჩებში ქალების ცემისა და მისი გადადგომის მომთხოვნი ასობით დემონსტრანტის დაკავების შემდეგ ის უახლოეს მრჩევლების წრეში ჩაიკეტა. გავეშებული და დისკრედიტებული სააკაშვილი ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დარჩენას იფიცება.**

ამ კაცის ასეთი ევოლუცია გახლავთ სიხარბის, პარანოიისა და ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობის ისტორია. სერიოზულად არცვინ ფიქრობს, რომ ის კიდევ დიდხანს გაძლებს თავის პოსტზე – თბილისში პარლამენტის შენობის წინ მოედნის შემვსები 100 ათასი დემონსტრანტი გაჰყვიროდა „წადი! წადი!“

ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ძალიან გააწბილა ყველა მომხრე, მრავალი რომელთაგანიც საპატიმროშია ჩასმული „ხულიგნობისა“ და იმის რკინისმუშტებიანი რეჟიმის წინააღმდეგ სხვა დანაშაულებებებისათვის.



ეს სიტუაცია საქართველოს ისტორიის ჩაწვდომაში გვეხმარება – რუსეთსა, თურქეთსა და ირანს შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში მდებარე პაწაწინა ქვეყნის ისტორიისა. სააკაშვილის წინამორბედი შევარდნაძე ჭაღარით მოსილი დიპლომატი გახლდათ, ვინც დასავლეთის პატივისცემა დაიმსახურა, როცა დაეცა ბერლინის კედელი, ხოლო კომუნიზმის ადგილი დემოკრატიული ქვეყნის იდეამ დაიკავა.

მე ვიყავი იქ იმ დღეს, როცა „შევი“ პარლამენტიდან გაიქცა, გადაწყვიტა რა, რომ მისთვის უკეთესია პოსტზე უარის თქმა, ვიდრე ძალადობის პროვოცირება. ამ კაცზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ის კი ნათელია, რომ არ მოისურვა უდანაშაულო ქართველთა სისხლით ხელების დასვრა.

სააკაშვილმა კი დანაპირები რეალობად არ აქცია. დაიწყო იმით, რომ კონსტიტუცია სანაგვეზე გაისტუმრა (მთავრობაში კორუფციასთან ბრძოლის საფარქვეშ) და თითქოს ხორცი შეასხა დიქტატურის ერთ-ერთ ფორმად დემოკრატიის მიჩნევის იდეას. თუმცა ბუშის ადმინისტრაციამ წაუყრუა ან არ დაუჯერა საქართველოდან წამოსულ ცნობებს პატიმართა წამების, ადამიანის უფლებათა დარღვევების, ქვეყნის უმეტესი მოსახლეობის გალატაკების შესახებ. ცნობებს ელექტრობის გამორთვების, პენსიების გაუცემლობის, ოპოზიციის დარბევის თაობაზე. შარშან ერთ-ერთი ჩემი ყოფილი მასწავლებელი ირაკლი ბათიაშვილი დაიჭირეს და უსაფუძვლოდ ჩასვეს სატუსაღოში. მას აქეთ ის წონაში 65 ფუნტით (30 კილოგრამით) არის დაკლებული და 4 ფუნტი 5-ზე (1,2 მ 1,5-ზე) ზომის სარდაფის კამერაში ლპება, სადაც მზის სხივი ვერ ატანს.

ახლახან, როცა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით დემონსტრაციებმა პიკს მიაღწიეს, ვუყურებდი რეპორტაჟებს საქართველოდან. არასოდეს არ განმიცდია ჩემი თანამემამულეებით ასეთი სიამაყე. იმათი მძლავრი ხმა უნდა შეისმინონ.

ამერიკელებმა, როგორც ოპოზიციის ლიდერები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, ქართველ ხალხს უნდა დაუჭირონ მხარი და არა ამ შეშლილს. ოპოზიციონერები კონსტიტუციით მონიშნულ ვადაში არჩევნების ჩატარებას ელტვიან. იმათ მხოლოდ ის სურთ, რომ ხალხს გადაწყვეტილების ნება მისცეს. არჩევის დემოკრატია სურთ.

დღეს სააკაშვილის რეჟიმი ძალაუფლების შენარჩუნებას ესწრაფვის 2008 წლის მიწურულისათვის არჩევნების გადადებით. ეს არაკონსტიტუციურია. წარმოიდგინეთ, თითქოს პრეზიდენტმა ბუშმა შარშან გადაწყვიტა, რომ მას სავსებით აძლევს ხელს არსებული რესპუბლიკური უმრავლესობა და განაცხადა – არჩევნები საჭირო არ არისო. წარმოიდგინეთ ამერიკის პირობებში შეუძლებელი რამ: ქვედა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი, დემოკრატი კალიფორნიიდან, აწამეს და ციხეში გამოამწყვდიეს. სამხედროებმა ძალით ჩამოაშორეს ეთერს ტელეწამყვანი ბრაიან უილიამსი. ტედ კენედი დაპატიმრებულია სახელმწიფო ღალატის ბრალდებით... ვერ წარმოიდგენთ, ხომ?

საქართველოს საპატიმროები ტუსაღებითაა სავსე. ამავე დროს პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყანაში არ არის დამნაშავეობა. ერთ-ერთი უდიდესი აფერისტი სააკაშვილის ბიძაა, საზიზღარი ტიპი, ნიუ-იორკში მცხოვრები. რამდენიმე წლის წინათ დაიჭირეს 200 ათასი დოლარი ქრთამის აღების ბრალდებით. სააკაშვილმა ოფიციალურად შეიწყალა ბიძამისი, რომელიც ამ მომენტში ხელშეუხებლობით სარგებლობს. სხვათა შორის, ეს ის ბიძაა, ვინც ყველას გასაგონად განაცხადა – პრეზიდენტი ბუში ჩემი საუკეთესო მეგობარიაო. ვფიქრობ, რომ ამ განცხადებამ ბევრი გააოცა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სახელმწიფო დეპარტამენტში.

ამერიკელი გადამხდელები ყოველწლიურად 300 მილიონ დოლარს ურიცხავენ საქართველოს. ეს ფული სკოლებსა და საავადმყოფოებზე კი არ იხარჯებოდა, არამედ სააკაშვილისათვის პრეზიდენტის სახლის მშენებლობაზე, აგრეთვე მისი კერძო არმიის – რესპუბლიკური გვარდიის შევსებაზე.

პრეზიდენტმა 100 ათასი დემონსტრანტის მოთხოვნები უგულვებელჰყო, შეკრებილთ „ნაგავი“ უწოდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ კაცს თავისი ქვეყანა ან თავისი ხალხი უყვარს. სხვანაირად დათმობებზე წავიდოდა და არჩევნებს დროულად გამართავდა. ის უარს ამბობს ოპონენტებთან დიალოგის დაწყებაზე, იმათ ახასიათებს, როგორც „არაორგანიზებულ კოალიციას“ და ძველებურად აკონტროლებს „რუსთავი-2““ის ტელეარხს. მოედნის მეორე მხარეს „იმედის“ არხია, იმ ქართველი მილიარდერის კუთვნილი, რომელიც ამჟამად სააკაშვილის ოპოზიციას აფინანსებს და კიდევ რუპერტ მერდოკის მედია-კონგლომერატის News Corp-ისა (სააკაშვილმა „რუსეთის აგენტად“ გამოაცხადა მერდოკი). იმათ დღედაღამ მიჰყავდათ მაუწყებლობა, იტყობინებოდნენ დემონსტრანტთა გამუდმებით მზარდ რიცხვზე და უჩვენებდნენ თბილისისკენ ამგზავრებული ათასობით ავტომანქანით გაჭედილ გზებს. მაშინ პრეზიდენტმა ეთერი გამოუთიშა მაუწყებელთ.

დასკვნები როგორია? შეერთებულმა შტატებმა, რეჟიმის მხარდამჭერმა ერთადერთმა სახელმწიფომ, უნდა გააცნობიეროს, რომ სააკაშვილი ძალაუფლების შესანარჩუნებლად სისხლის დაღვრაზე მეტზეც მზადაა. კავკასიაში პოლიტიკას ხანგრძლივ პლანში ეგებ სერიოზული ზიანიც მიადგეს, თუ იმას პრეზიდენტის პოსტზე დარჩენის ნებას მისცემენ. სააკაშვილი საკუთარ ხალხსაც დასცინის და ამერიკელ ხალხსაც, იმათ ბრმა მხარდაჭერასა და ნდობაში დარწმუნებული. ჩავლილი თბილისური კვირეული ერთობ ემოციური გახლდათ. დარწმუნებული ვარ, რომ დემონსტრანტები დაქანცა თავსხმაში იმ იმედით დგომამ, რომ იმათ ხმას შეისმენენ.

თავიდან წყნარი ხმა მთელი ხალხის შეძახილად იქცა: პრეზიდენტი უნდა წავიდეს.

***ცოტნე ბაკურია – საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ამჟამად ლოს-ანჯელესში მცხოვრები. ამერიკულ-ქართული დემოკრატიული საზოგადოების წევრი.***

The Washington Times

№ 229. ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 32-85-76; 98-65-87

დამტკიცებულია შ.პ.ს. „ჯგუფი მილენიუმის"
პარტნიორთა საერთო კრების მიერ
2007 წლის 2 ნოემბერს ოქმი №2

# შ.პ.ს. „ჯგუფი მილენიუმის" მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 2007 წელი

## ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
## ა რ ბ ი ტ რ ა ჟ ი

**მუხლი 1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1. არბიტრაჟი – ერთი ან რამდენიმე წევრისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა.
1.2. არბიტრი – არბიტრაჟის წევრი.
1.3. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – "შ.პ.ს.„ჯგუფი მილენიუმი"-ს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი".
1.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (დირექტორი) ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.
1.5. კანონი – საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ".
1.6. მხარეები – პრეტენდენტი და მოპასუხე.
1.7. პრეტენდენტი – მხარე, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს.
1.8. მტკიცებულება – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობას და დასაბუთებულობას.
1.9. საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.
1.10. დებულება – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წინამდებარე დებულება.

**მუხლი 2. ზოგადი დებულებები**

2.1. არბიტრაჟი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას, დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, თუ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2.2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი(არბიტრაჟი) ხელმძღვანელობს ამ დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.
2.3. დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე(არბიტრაჟი) უფლებამოსილია განახორციელოს კანონით და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი სხვა საარბიტრაჟო მოქმედება.
2.4. მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს არბიტრაჟისათვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.
2.5. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, დებულებაში და კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით.
2.6. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. საარბიტრაჟო პრეტენზიის აღმძვრელს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.
2.7. საარბიტრაჟო საქმის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, მოიხმონ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.
2.8. საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.
2.9. მხარეებს, აგრეთვე არბიტრაჟს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2.10. არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება საქართველოს კონსტიტუციას, კანონმდებლობას და დებულებას. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაუშვებელია.
2.11. თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრაჟი იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს(კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს(სამართლის ანალოგია).
2.12. არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.
2.13. არბიტრაჟის წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.
2.14. საარბიტრაჟო განხილვა ხორციელდება ქართულ ენაზე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პირს რომელმაც საარბიტრაჟო განხილვის ენა არ იცის დაენიშნება შესაბამისი ენის მცოდნე თარჯიმანი.
2.15. არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელით.
2.16. არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის.
2.17. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.
2.18. სასამართლოში საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა არ იწვევს საარბიტრაჟო განხილვის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას.
2.19. მხარეების შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.
2.20. საარბიტრაჟო განხილვის ადგილია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ადგილსამყოფელი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება**

3.1. არბიტრაჟის წევრად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე.
3.2. არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან.
3.3. არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი განისაზღვრება მხარეთა მიერ. მხარეები ნიშნავენ არბიტრაჟის წევრთა თანაბარ რაოდენობას. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც არბიტრაჟის დანიშვნისას ერთ-ერთ მხარეს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში.
3.4. არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, არბიტრაჟი შექმნიდან ხუთი დღის ვადაში ნიშნავს კიდევ ერთ წევრს.
3.5. თუ მხარეები თვითონ არ განსაზღვრავენ არბიტრაჟის წევრთა დანიშვნის წესს, მაშინ მხარეები ნიშნავენ არბიტრაჟის წევრთა თანაბარ რაოდენობას, ხოლო არბიტრაჟის დამატებით წევრს ირჩევენ არბიტრაჟის უკვე დანიშნული წევრები დანიშვნიდან ხუთი დღის ვადაში. თუ ამ ვადაში არ მოხდა მესამე არბიტრის არჩევა, მას სამ დღეში ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
3.6. არბიტრის(არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.
3.7. მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.
3.8. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან მხარე უარს ამბობს არბიტრის(არბიტრების) დანიშვნაზე, ან საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი არბიტრით, მაშინ არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
3.9. არბიტრი(არბიტრები) უნდა დაინიშნოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, მხარე ნიშნავს არბიტრაჟის წევრს მეორე მხარის მოთხოვნის ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.
3.10. თუ მხარე დებულების 3.9. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნავს არბიტრს(არბიტრებს), ეს ჩაითვლება მხარის მიერ არბიტრის(არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმად.
3.11. მხარის მიერ არბიტრის(არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, არბიტრს(არბიტრებს) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე დანიშნავს უარის მიღებიდან სამი დღის ვადაში.
3.12. თუ მხარე ან არბიტრაჟი ხელშეკრულებით ან კანონით დადგენილ ვადაში არ დანიშნავს არბიტრაჟის წევრს, მაშინ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრაჟის წევრს ნიშნავს ის სასამართლო 5 დღის განმავლობაში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება არბიტრაჟი. სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის წევრის დანიშვნის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3.13. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ დანიშნული არბიტრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება არბიტრაჟის სხდომაზე ან დატოვებს მას, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე გადააყენებს მას არბიტრობიდან და მის ნაცვლად დანიშნავს ახალ არბიტრს.
3.14. 3.13. პუნქტით დადგენილი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მხარის მიერ დანიშნული არბიტრი თუნდაც საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება არბიტრაჟის სხდომაზე.
3.15. ყოველი პირი მის არბიტრაჟის წევრად დანიშვნაზე იძლევა წერილობით თანხმობას და ავსებს სპეციალურ ბლანკს.
3.16. მხარის მიერ დანიშნულ არბიტრთან მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დებს ხელშეკრულებას.
3.17. თუ არბიტრთა რიცხვი ერთზე მეტია, ერთ-ერთი მათგანი უნდა დაინიშნოს არბიტრაჟის თავმჯდომარედ. არბიტრაჟის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს მხარის მიერ დანიშნული არბიტრი.
3.18. არბიტრაჟი თავის თავმჯდომარეს ნიშნავს შექმნიდან ხუთი დღის ვადაში ან პირველსავე სხდომაზე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების გაყოფის შემთხვევაში არბიტრაჟის თავმჯდომარეს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
3.19. არბიტრის(არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.
3.20. მხარეს უფლება არ აქვს შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი ან ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დებულებით.
3.21. არბიტრის შეცვლის შემთხვევაში ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით, როგორითაც შესაცვლელი არბიტრი.
3.22. მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ ეს უკანასკნელი არის: ა) ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირი; ბ) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე; გ) მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა მძიმე, განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი დანაშაულისათვის; დ) არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას. ე) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სხდომის მდივნად; ვ) არის მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა; ზ) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; თ) თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომელიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.
3.23. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო რომლებიც ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.
3.24. არბიტრაჟის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ(ჩამოსცილდნენ) დავის განხილვას.
3.25. მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განაცხადოს წერილობით ათი დღის ვადაში შესაბამისი არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის აცილების გარემოება ცნობილი გახდა ან უნდა სცოდნოდა. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული.
3.26. არბიტრი ვალდებულია აცნობოს მხარეებსა და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.
3.27. თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.
3.28. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც დაისვა, თვითონ არ ამბობს უარს არბიტრაჟის წევრობაზე, ან თუ მეორე მხარე არ არის თანახმა აცილებაზე, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი.
3.29. აცილების განცხადების შემდეგ არბიტრაჟმა შეიძლება მოუსმინოს მხაარეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება.
3.30. აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში.
3.31. თუ აცილება განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად არჩევს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს არბიტრი. აცილების მიღების შემთხვევაში არბიტრი საქმეს გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმეს განსახილველად გადასცემს სხვა არბიტრს.
3.32. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური არბიტრაჟის მთელ შემადგენლობას ან მათ უმრავლესობას, აცილების საკითხს გადაწყვეტს ამავე არბიტრაჟის სრული შემადგენლობა ხმების უმრავლესობით. კოლეგიური არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის აცილების შემთხვევაში საქმე უბრუნდება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმეს გადასცემს კოლეგიური არბიტრაჟის სხვა შემადგენლობას.
3.33. თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში არბიტრი შეიძლება გადაყენებულ იქნეს საკუთარი ან ერთ – ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ ან მხარეთა შეთანხმებით.
3.34. ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის გადადგომის საკითხს წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3.35. არბიტრის თხოვნის საფუძველზე არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება მისი გადადგომის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი. ამ და 3.33 პუნქტში აღნიშნული არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის წევრის თანამდებობიდან გადადგომის საკითხზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3.36. არბიტრაჟის ან არბიტრაჟის თავმჯდომარის შეცვლის შემთხვევაში მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება უნდა განმეორდეს. ცალკეული არბიტრის შეცვლის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოქმედების განმეორების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.
3.37. ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.
3.38. ექსპერტის, თარჯიმნისა და სპეციალისტის აცილების საფუძვლად არ ჩაითვლება დებულების 3.22. „ბ"ქვეპუნქტში დასახელებული გარემოებები.
3.39 განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია ზეპირადაც დებულების 3.25. პუნქტში მოცემული პირობების დაცვით, რაც შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში.

**მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება**

4.1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟისგარეშე ხარჯები.
4.2. არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.
4.3. არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი(განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.
4.4. საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გასწიოს რაიმე ხარჯი.
4.5. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს: ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე; ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე; გ) მესამე პირის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე. დ) საარბიტრაჟო საჩივარზე, მათ შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე. ე) საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფაზე.
4.6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა ქონებრივ დავებზე დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 1,5 პროცენტიდან 2 პროცენტამდე დამატებითი ღირებულების გადახდის გარეშე.
4.7. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა იყოს 150 ლარზე ნაკლები, დამატებითი ღირებულების გადახდის გარეშე.
4.7[I]. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებით განისაზღვროს 200 ლარით, დამატებითი ღირებულების გადახდის გარეშე.
4.8. დავის საგნის ფასს მიუთითებს პრეტენდენტი. თუ პრეტენდენტის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
4.9. თუ ერთ პრეტენზიაში სხვადასხვა ვალდებულებიდან(ხელშეკრულებიდან) მომდინარე რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ–ცალკე და შესაბამისად ცალ–ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა.
4.10. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები,როდესაც შეტანილ იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია.
4.11. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასის შესაბამისად.
4.12. არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, აგრეთვე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავლები.
4.13. თუ არაქონებრივ–სამართლებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ–სამართლებრივი დავა, მაშინ საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.
4.14. დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: ა) საარბიტრაჟო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები; ბ) სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; გ) თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; დ) ადგილობრივ დათვალიერებებზე გაწეული ხარჯები; ე) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.
4.15. დებულების 4.14.პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს მხარეები გაიღებენ თანაბრად, თუ საარბიტრაჟო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
4.16. ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.
4.17. მუდმივმოქმედ არბიტრაჟს(არბიტრაჟს) ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაათავისუფლოს მხარე საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან ან გადაუვადოს ამ უკანასკნელის გადახდა.
4.18. ერთი მხარის ნაწილობრივ განთავისუფლება (ან გადავადება) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან მეორე მხარის საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.
4.19. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გაუნაწილვადოს არბიტრაჟის ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს მისი ოდენობა.
4.20. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განახევრდება თუ პრეტენდენტმა უარი თქვა თავის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, აგრეთვე მხარეთა მორიგების შემთხვევაში, ამასთან საარბიტრაჟო მოსაკრებელი არ შეიძლება იყოს დებულების 4.7. მუხლით დადგენილ ოდენობაზე ნაკლები.
4.21. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმა, საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.
4.22. არბიტრაჟს(არბიტრს), რომელიც აწარმოებს ადგილზე დათვალიერებას, აუნაზღაურდება მგზავრობასთან, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე მიეცემა დღიური თანხა.
4.23. არბიტრაჟის ხარჯები(საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), დებულებით გათვალისწინებული ხარჯების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საარბიტრაჟო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება არბიტრაჟის ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.
4.24. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯრბის გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ საარრბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება პრეტენზიის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – საარბიტრაჟო პრეტენზიის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც პრეტენდენტს უარი ეთქვა.
4.25. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, თუ არბიტრაჟი შეცვლის სხვა კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის საარბიტრაჟო ხარჯების განაწილებასაც
4.26. თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების განაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.
4.27. თუ არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) პრეტენდენტს საარბიტრაჟო მოსაკრებელს გადაუვადებს ან გაუწილვადებს არბიტრაჟი დავის განხილვის შემდეგ თავისი ინიციატივით საარბიტრაჟო მოსაკრებელს დააკისრებს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც იქნება მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო–საპროცესო ვადები**

5.1. საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით და დებულებით დადგენილ ვადაში.
5.2. თუ საარბიტრაჟო–საპროცესო ვადა კანონით ან დებულებით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო–საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის მხარეების ან კანონის მიერ დაწესებული ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.
5.3. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.
5.4. საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით.უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.
5.5. საარბიტრაჟო–საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის,ან იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.
5.6. საარბიტრაჟო–საპროცესო ვადა გამოითვლება მხოლოდ დღეებით.
5.7. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.
5.8. საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.
5.9. ყველა დაუმთავრებელი საარბიტრაჟო–საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმ ოებით შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საარბიტრაჟო–საპროცესო ვადის დენა განახლდება.
5.10. საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით, დებულებით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო–საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.
5.11. არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით.
5.12 საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედებისათვის კანონით ან დებულებით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით ან დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძ

იხ. 10 გვ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87



ლება აღადგინოს არბიტრაჟმა, თუ ცნობს, რომ საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

5.13. განცხადება საარბიტრაჟო–საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება ამ ვადის გასვლამდე არბიტრაჟში. ვადის გასვლის შემდეგ ასეთ განცხადებას არბიტრაჟი მიიღებს, თუ ცნობს, რომ ვადის გასვლამდე განცხადების შეუტანლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

5.14. ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს ის საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედება, რომლის ვადაც გასულია.

5.15. განცხადება საარბიტრაჟო–საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების ვადაზე შეუსრულებლობა, აგრეთვე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

5.16. განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს არბიტრაჟი მხარეთათვის შეუტყობინებლად.

5.17. საარბიტრაჟო–საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება**

6.1. არბიტრაჟი, არბიტრი ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო უწყებით (წერილობითი შეტყობინებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილს სულ ცოტა ხუთი დღით ადრე შესაბამისი სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო–საპროცესო მოქმედების გამართვამდე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

6.2. საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.

6.3. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონოგრამით ან დეპეშით. თუ შეტყობინების მიმღებს აქვს ფაქსის აპარატი, მაშინ არბიტრაჟს შეუძლია განახორციელოს შეტყობინება ფაქსის მეშვეობით. ფაქსით საარბიტრაჟო შეტყობინების დროს აუცილებელია შეტყობინების დადასტურება იმ პირის მიერ, ვისაც ასეთი შეტყობინება გაეგზავნა.

6.4. საარბიტრაჟო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებული მისამართის მიხედვით.

6.5. საარბიტრაჟო უწყებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართული საბუთების ასლებთან ერთად, გზავნილი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

6.6 უწყებისა და გზავნილის სანიმუშო ფორმასა და შინაარსს ადგენს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.

6.7. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში (მუდმივმოქმედ არბიტრაჟში) მეორე მხარისაგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი მიღებიდან ორი დღის ვადაში.

6.8. საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც არბიტრაჟს უნდა დაუბრუნდეს.

6.9. არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟი არ არის დანიშნული სრული შემადგენლობით, ან ჯერ არჩეული არ არის არბიტრაჟის თავმჯდომარე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც დაევალა უწყების მიტანა, ვალდებულია უკან დააბრუნოს მისი მეორე ცალი უწყების მიღებაზე ადრესატის ხელმოწერით.

6.10. მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, უწყების მეორე ეგზემპლარზე მისი ხელმოწერით, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს სათანადო თანამდებობის პირს, რომელიც ასევე ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარს.

6.11. თუ უწყების მიმტანმა პირმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე,–იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი,სახელი, აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

6.12. თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების ჩამბარებელმა პირმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას.

6.13. თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა.

6.14. მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

6.15. თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ–ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

6.16. თუ მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, არბიტრაჟი შეუდგება საქმის განხილვას მას შემდეგ, რაც უწყება დაბრუნდება წარწერით, რომლის მიღებას ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო, ან იმ ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც ბოლო დროს მუშაობდა მოპასუხე.

## კარი მეორე
## მ ხ ა რ ე ე ბ ი

**მუხლი 7. მხარეთა საარბიტრაჟო–საპროცესო ქმედუნარიანობა**

7.1. არბიტრაჟი დავის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების პრეტენზიის (სარჩელის) და შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე. მხარეებად არბიტრაჟში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

7.2. მხარის ქმედუუნარობა არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების მოშლას, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.3. ერთ–ერთი მხარის ქმედუუნარობის შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს დავა მხოლოდ მაშინ, თუ ქმედუუნარო პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

7.4. თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა, რომ ერთ–ერთი მხარე ქმედუუნაროა და მას არ ჰყავს კანონიერი წქრმომადგენელი, არბიტრაჟი ვალდებულია შეაჩეროს საარბიტრაჟო განხილვა. საარბიტრაჟო განხილვა განახლდება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ.

7.5. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო–საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი,მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა–განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები და დადგენილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს,ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

7.6. პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს საპრეტენზიო მოთხოვნების ოდენობა.

7.7. დავის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არანაკლებ 5 დღისა.

7.8. საარბიტრაჟო პრეტენზიის შეცვლად არ ჩაითვლება პრეტენდენტის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე საპრეტენზიო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

7.9. დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც პრეტენზიას საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს აცილებს.

7.10. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის ან ადვოკატის მეშვეობით, რომელთა წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

7.11. ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

7.12. ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

7.13. მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების, თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილება შეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებული ყველა იურიდიული მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

7.14. წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს, როგორც არბიტრაჟს ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და/ან აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით არბიტრაჟი დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

7.15. საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე პრეტენდენტის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ: ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება; ბ) საპრეტენზიო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან; გ) საპრეტენზიო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი; დ) პრეტენდენტებს, მოპასუხეებს და მესამე პირებს(დამოუკიდებელი საარბიტრაჟო პრეტენზიით) უფლება აქვთ საარბიტრაჟო დავის წარმოება მიანდონ ერთ–ერთ თანამონაწილეს.

7.16. თითოეული პრეტენდენტი ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

7.17. თანამონაწილენი სარგებლობენ კანონითა და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

7.18. თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის(საქმის) წარმოება ერთ–ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

7.19. საქმის წარმოების მინდობა ერთ–ერთი თანამონაწილისათვის ხდება დებულების 7.9 – 7.13 პუნქტების შესაბამისად.

7.20. თუ არბიტრაჟი საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია პრეტენდენტის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი პრეტენდენტი სათანადო პრეტენდენტით, თუ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

7.21. თუ სათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო პრეტენდენტი, ან არასათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო პრეტენდენტით, არბიტრაჟი საარბიტრაჟო წარმოებას შეწყვეტს იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ პრეტენზიაზე.

7.22. თუ შეცვლილ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე თანახმა არ არის მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრი უსაფუძვლობის მოტივით წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

7.23. თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მას შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

7.24. თუ პრეტენდენტი არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, არბიტრი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პრეტენდენტს საარბიტრაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

7.25. თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და სათანადო მოპასუხე არ არის თანახმა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

## კარი მესამე
## მტკიცებულებები

**მუხლი 8. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება**

8.1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

8.2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა–განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

8.3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

8.4. საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

8.5. არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია ნებაყოფლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

8.6. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით.

8.7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

8.8. არბიტრაჟი არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისთვის მნიშვნელობა არა აქვთ.

8.9. მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

8.10. არბიტრაჟისათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8.11. არბიტრი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით,რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

8.12. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრაჟის შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეყილებაში.

8.13. ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობისას ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, არბიტრაჟმა შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

8.14. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც არბიტრაჟი საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ან არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით, თუ საარბიტაჟო დავის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ; გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედების სამოქალაქო–სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

8.15. არბიტრაჟი, ხოლო საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანამდე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი-ის თავმჯდომარე, მხარის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით მიმართავს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.

8.16. მხარის განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის მოთხოვნით არბიტრაჟს წარედგინება წერილობითი ფორმით. ასეთი განცხადების ზეპირი ფორმით. ასეთი განცხადების ზეპირი ფორმით წარდგენა დასაშვებია არბიტრაჟში დავის განხილვის დროს.

8.17. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ზეპირი განცხადებით აღძრული შუამდგომლობა შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში.

8.18. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს: ა) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია; ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი; გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ; დ) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი.

8.19. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟი იღებს დადგენილებას, ხოლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – განკარგულებას. ასეთი დადგენილების(განკარგულების) მიღებით საარბიტრაჟო–საპროცესო ვადა ჩერდება შესაბამისი მტკიცებულების მიღებამდე.

8.20. მხარეებს, იმისგან დამოუკიდებლად, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და მიუთითონ იმ ხარვეზებზე, რომლებსაც მათი აზრით, ადგილი ჰქონდა უზრუნველყოფის დროს.

8.21. მხარის განცხადებით არბიტრაჟს(მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.

8.22. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის(მუდმივმოქმედი არბიტრაჟის) წინაშე ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

8.23. არბიტრაჟს შეუძლია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ მოწმის გამოცხადება შეუძლებელია ნებაყოფლობით, არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოწმის გამოცხადების შესახებ. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება–მოვალეობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

**მუხლი 9. ექსპერტიზის დანიშვნა**

9.1. თუ დავის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს ან წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ექსპერტიზა. ქსპერტის დანიშვნა სავალდებულოა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ.

9.2. უარი ექსპერტის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს.

9.3. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. უცილებლობის ან მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად არბიტრაჟი ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.

9.4. ექსპერტების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ არბიტრაჟს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს ექსპერტიზის ჩატარება, წყვეტს არბიტრაჟი.

9.5. მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს არბიტრაჟი. ეს უკანასკნელი ვალდებულია დაასაბუთოს მხარეთა მიერ წამოყენებული საკითხების უარყოფა.

9.6. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს არბიტრაჟს წარუდგენენ მხარეები. ქსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების წრეს განსაზღვრავს არბიტრაჟი, რომელიც ითვალისწინებს როგორც მხარეებს, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებებს.

9.7. თუ ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების მიღებისათვის აუცილებელია მოწმის დაკითხვა, არბიტრაჟს შეუძლია გამოიძახოს და დაკითხოს იგი ექსპერტის მონაწილეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები ამის წინააღმდეგნი არიან. მხარეებს ეცნობებათ ამის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ აბრკოლებს მოწმის დაკითხვას. ამ წესით დაკითხული მოწმე არ თავისუფლდება საარბიტრაჟო სხდომაზე გამოცხადებისაგან და საქმის განხილვის დროს განმეორებითი დაკითხვისაგან.

9.8. მოწმის დაკითხვის შესახებ შედგება ოქმი, რომელიც დაერთვის საქმეს.

9.9. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება არბიტრაჟის სხდომაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.

9.10. ექსპერტს პირველად ეკითხება ის პირი, რომლის თხოვნითაც დაინიშნა ექსპერტი და მისი წარმომადგენელი. არბიტრაჟის ინიციატივით დანიშნულ ექსპერტს პირველად ეკითხება არბიტრი. არბიტრს შეუძლია შეკითხვები დაუსვას ექსპერტს მისი დაკითხვის ყოველ მომენტში.

9.11. ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

9.12. არბიტრაჟის უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.

9.13. თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, არბიტრაჟს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.

9.14. თუ არბიტრაჟი არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არბიტრაჟს შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს.

9.15. არბიტრაჟი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ.

9.16. ექსპერტებს აუნაზღაურდებათ არბიტრაჟში გამოცხადებისათვის მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და დღიური თანხა, აგრეთვე არბიტრაჟის დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.

9.17. თუ ექსპერტის აზრით, არბიტრაჟის მიერ წინასწარ განსაზღვრული ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება დავის საგნის ღირებულებასთან შედარებით, ან დიდად გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ ხარჯებს, ექსპერტი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ არბიტრაჟს.

## კარი მეოთხე
## საარბიტრაჟო წარმოება

**მუხლი 10. საარბიტრაჟო პრეტენზია**

10.1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია

10.2. საარბიტრაჟო პრეტენზია შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს: ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება; ბ) პრეტენდენტის გვარს, სახელსა და მისამართს, ხოლო თუ პრეტენდენტი იურიდიული პირია– მის სახელწოდებასა და მისამართს; გ) წარმომადგენლის გვარს, სახელსა და მისამართს, თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს; დ) მოპასუხის გვარს, სახელსა და მისამართს, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია,–მის სახელწოდებასა და მისამართს; ე) პრეტენდენტის მოთხოვნას; ვ) გარემოებებს, რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს; ზ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს; თ) საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს, თუ შესაძლებელია მისი შეფასება; ი) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე; კ) არბიტრობის სასურველი კანდიდატის(კანდიდატთა) სახელს, გვარს, მისამართსა და სხვა მონაცემებს, თუ არბიტრს(არბიტრებს) ნიშნავს პრეტენდენტი; ლ) თუ პრეტენდენტი არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის უფლებას გადასცემს სხვა პირს, მითითებას ამის თაობაზე და ამ პირის რეკვიზიტებს. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმებას თან უნდა ერთვოდეს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ პუნქტის „კ" ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაცემებს; მ) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; ნ) საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის დართული საბუთების ნუსხას.

10.3. საარბიტრაჟო პრეტენზიას აუცილებლად უნდა ერთვოდეს საარბიტრაჟო შეთანხმება.

10.4. საარბიტრაჟო პრეტენზიაში შეიძლება იყოს პრეტენდენტის მოთხოვნა არბიტრაჟისადმი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟისადმი), რათა მან: ა) დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის საპრეტენზიო მოთხოვნას; ბ) გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაიბაროს მოწმეები; გ) მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მიმართოს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს დებულების 8.17 პუნქტის მოთხოვნები.

10.5. საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

10.6. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეტანილია ამ მუხლში მითითებული მოთხოვნის დარღვევით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი(-ის თავმჯდომარე) არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას და პრეტენდენტს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, პრეტენზია შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება პრეტენდენტს.

10.7. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია პრეტენზიის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით მიიღოს იგი წარმოებაში ან უარი თქვას მის მიღებაზე.

10.8. მიღებული საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს მოპასუხეს, მიღებიდან ორი დღის ვადაში.

10.9. დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე: ა) გადაუგზავნის მოპასუხეს პრეტენზიას და თანდართული საბუთების ასლებს. ბ).დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობით შეადგინოს და წარმოადგინოს თავისი პასუხი პრეტენზიასა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები პრეტენზიაზე დართული საბუთების შესახებ; გ) მისცემს წინადადებას დანიშნოს არბიტრი.

10.10. მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს: ა) ცნობს თუ არა მოპასუხე პრეტენზიას; ბ) თუ პრეტენზიას არ ცნობს, რა კონკრეტულ გრემოებებს ემყარება მისი შესაგებელი პრეტენზიის წინააღმდეგ; გ) რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები; დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე პრეტენზიისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული პრეტენზიის აღძვრას, ხო მარ უარყოფს პრეტენზიის დასაშვებობას და ა. შ.; ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად; ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული არბიტრაჟის სხდომაზე; ზ) სხვა საკითხებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო წარმოებისათვის.

10.11. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო პრეტენზიის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას პრეტენდენტის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია პირვანდელ პრეტენზიასთან ერთად განსახილველად.

10.12. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.

10.13. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა შეიძლება საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით, გარდა 10.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისა.

10.14. მოპასუხის წერილობითი პასუხისა და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს პრეტენდენტს.

10.15. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე თავისი მოსაზრებები წარმოადგინოს წერილობით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის(არბიტრაჟის) თავმჯდომარის მიერ დანიშნულ ვადაში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 32-85-76; 98-65-87

10.16. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას(საჩივარს), თუ: ა) არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება; ბ) არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხართა მორიგების დამტკიცების შესახებ; გ) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზეც მხარეები არ შეთანხმებულან ან დარღვეულია გასაჩივრებისათვის კანონით გათვალისწინებული ოცდაათდღიანი ან მხარეთა მიერ დადგენილი ვადა; დ) სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; ე) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის; ვ) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა; ზ) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

10.17. პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განკარგულება. თუ პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს პრეტენზია ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ უნდა მიუთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძრის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

10.18. პრეტენზიის მიუღებლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება ჩაბარდება პრეტენდენტს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50 %, ამასთან საარბიტრაჟო მოსაკრებელი არ შეიძლება იყოს დებულების 4.7 მუხლით დადგენილ ოდენობაზე ნაკლები.

**მუხლი 11. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია**

11.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ პრეტენზიას, თუ: ა) შეგებებული პრეტენზიის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ) შეგებებული პრეტენზიის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; გ) შეგებებულ პრეტენზიასა და პირვანდელ პრეტენზიას შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

11.2. პირვანდელი და შეგებებული პრეტენზიის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

11.3. თუ შეგებებული პრეტენზია აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, პრეტენდენტის თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადება. 11.4. საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული პრეტენზია.

**მუხლი 11[I] . პრეტენზიის უზრუნველყოფა**

1. პრეტენდენტს შეუძლია მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს განცხადებით საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების ჩატარება მიაჩნია პრეტენდენტს საჭიროდ.

2. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების შეტანიდან 24 საათის განმავლობაში მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, ხოლო საარბიტრაჟო პრეტნზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში არბიტრაჟს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საარბიტრაჟო საჩივარი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

3.1. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილი გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების გამომტანი არბიტრაჟის ზუსტ დასახელებას და მისამართს.

3.2. მითითებას თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ.

3.3. იმ გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ.

4. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა შეადგენს ორ დღეს, ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი აითვლება საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან.

5. საარბიტრაჟო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, მაგრამ არბიტრაჟს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

6. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ.

7. საარბიტაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების არბიტრაჟის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში არბიტრაჟი საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანისათვის დანიშნავს გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 დღისა საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან. თუ არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაში საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს საარბიტრაჟო პრეტენზიას, არბიტრაჟი თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით აუქმებს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას.

8. მხარის თხოვნით დასაშვებია პრეტენზიის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

9. ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სადეპოზიტო ანგარიშზე.

10. საკითხს იმის შესახებ, თუ პრეტენზიის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს არბიტრაჟი, მოპასუხის შეუტყობინებლად.

11. პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

1 ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც ეკუთვნის მოპასუხეს ან იმყოფება მასთან ან სხვა პირთან.

2. მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

3. მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი ამსრულებელს სეკვესტრის (ქონების თბილისი მიბარება) სახით.

12. არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებული იქნეს უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

13. განცხადება, რომლითაც პრეტენდენტი ითხოვს ქონებაზე ყადაღის დადებას უნდა შეიცავდეს მითითებას ქონების ადგილსამყოფელის შესახებ, რომლითაც დასტურდება ქონებაზე საკუთრების უფლება.

14. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას არ ახლავს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება, ან არ არის გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი, არბიტრაჟი არ მიიღებს განცხადებას პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ.

15. არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს პრეტენდენტს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

1.6. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ პრეტენდენტს უარი ეთქვა პრეტენზიაზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ არბიტრაჟმა გააუქმა საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა მხარეთა ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა პრეტენზიის უზრუნველყოფით გატარებული ღონისძიებათა შედეგად.

**მუხლი 12. საქმის მომზადება არბიტრაჟის სხდომაზე განსახილველად**

12.1. არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

12.2. საქმის საარბიტრაჟო განხილვისათვის მოსამზადებლად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარე მიმართავს დებულების 10.7—10.9 და 10.14—10.15 პუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

12.3. არბიტრაჟი მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია: ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი დოკუმენტი; ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით [illegible]

12.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ არბიტრაჟს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადებას.

12.5. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას (ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშების შედგენა და ა.შ.) არბიტრაჟს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი.

12.6. სპეციალისტად მოწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს არბიტრაჟში, გაუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება.

12.7. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში, ხოლო მისი წერილობითი პასუხი დაერთვის საქმეს.

12.8. საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა. მოსამზადებელ სხდომას ნიშნავს არბიტრაჟი.

**მუხლი 13. გამოუცხადებლობა და დოკუმენტის წარმოუდგენლობა**

13.1. თუ დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება სხდომაზე არასაპატიო მიზეზით, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

13.1[I] გამოცხადებულად ითვლება მხარე, რომელიც გამოცხადდა საარბიტრაჟო სხდომაზე დანიშნულ დროს, მაგრამ უარს ამბობს საარბიტრაჟო საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე. 13.2. თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადებში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილ საქმის გარჩევასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე.

**მუხლი 14. არბიტრაჟის მთავარი სხდომა**

14.1. არბიტრაჟის თავმჯდომარე ხსნის, უძღვება და ხურავს საარბიტრაჟო სხდომას.

14.2. მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე საარბიტრაჟო სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე, თუ ასეთი დაშვებულია, ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს არბიტრაჟის განკარგულებას.

14.3. თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

14.4. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენისა თუ გამოთხოვის, აგრეთვე საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ შეიძლება დააკმაყოფილოს არბიტრაჟმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შუამდგომლობები და განცხადებები საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე,. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს.

14.5. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში არბიტრაჟი დაკითხავს გამოცხადებულ მოწმეებს. ახალ საარბიტრაჟო სხდომაზე ამ მოწმეთა ხელმეორედ დაბარება შეიძლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. არბიტრაჟი დაავალებს აგრეთვე მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, რათა მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა ახალი სხდომის დაწყებამდე გაეცნოს ამ მასალებს, ამასთან მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი მოწმისა, რომლის დაკითხვაც მას სურს.

14.6. თუ მხარე თავს არიდებს ამ მოვალეობის შესრულებას საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით და არბიტრაჟს წარუდგენს წერილობით თუ ნივთიერ მტკიცებულებებს, აგრეთვე დაასახელებს მოწმის ვინაობასა და მისამართს მხოლოდ საქმის ხელმეორედ განხილვის პროცესში მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დროს, არბიტრაჟს შეუძლია მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით არ მიიღოს ეს მტკიცებულებები და არ გამოუძახოს მოწმეს.

14.7. საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ—ამ სხდომის მასალებსა და ოქმს.

14.8. თავმჯდომარის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა—განმარტების მოსმენა.

14.9. პირველად არბიტრაჟი მოისმენს პრეტენდენტისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა—განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნებს და უარს ხომ არ ამბობს პრეტენზიაზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვ.

14.10. მხარეთა ახსნა—განმარტების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა გაცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე.

14.11. არბიტრაჟი გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო გაცხადებული საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სთხოვოს არბიტრაჟს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გასაქარწყლებლად.

14.12. თუ არბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა—განმარტებას ამ ერთი მხარისაგან.

14.13. არბიტრაჟის ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, არბიტრაჟს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია არბიტრაჟს.

14.14. არბიტრაჟის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მხარეებს მისცენ შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და არბიტრაჟში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

14.15. მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს არბიტრაჟი. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას; სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას; იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

14.16. არბიტრაჟი იღებს დებულებით გათვალისწინებულ ზომებს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს და არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად—ერთ საარბიტრაჟო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია,—შესვენების გარეშე.

14.17. მხარეთა და სხვა პირთა ახსნა—განმარტების მოსმენის შემდეგ არბიტრაჟი შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება—გამოკვლევას, რაც წარმოებს დებულებით დადგენილი წესით.

14.18. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ არბიტრაჟი ეკითხება მხარეებსა და წარმომადგენლებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ ასეთი სურვილი არ გამოითქვა, არბიტრაჟი საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს,რის შემდეგაც იწყება მხარეთა პაექრობა. 14.19. პაექრობა შედგება მხარეების და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან. 14.20. პირველად გამოდიან პრეტენდენტი და მისი წარმომადგენელი, შემდეგ—მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. 14.21. მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნით მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. 14.22. პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ არბიტრაჟი ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს, რითაც საარბიტრაჟო განხილვა მთავრდება.

**მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

15.1. არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების(საარბიტრაჟო გადაწყვეტილების) გამოტანის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით.

15.2. თუ მხარეები არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადას, არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.3. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ იქნება გამოტანილი, არბიტრაჟი უნდა გადადგეს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან 10 დღის ვადაში დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები.

15.4. თუ 16.3 პუნქტის საფუძველზე შექმნილი არბიტრაჟი არ გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას დადგენილ ვადაში, საარბიტრაჟო შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.5. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით.

15.6. არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრაჟის ყველა წევრი. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.

15.7. არბიტრაჟის არც ერთ წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.8. არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს.

15.9. არბიტრებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

15.10. გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი ან\და სხვა იურიდიული ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს თუ არა პრეტენზია.

15.11. გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

15.12. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ არბიტრაჟს, გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე ან ერთ-ერთი არბიტრი და ხელს აწერს ყველა არბიტრი, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე არბიტრიც. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას შენიშვნა უნდა გაუკეთდეს არბიტრთა ხელმოწერების წინ.

15.13. არბიტრაჟს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

15.14. გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დადგენილებითი ნაწილებისაგან.

15.15. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრაჟის სხდომის მდივანი, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

15.16. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას პრეტენდენტის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელზე.

15.17. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს არბიტრაჟის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულიებას, და კანონი ან\და სხვა იურიდიული ნორმები, რომლებითაც არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა.

15.18. გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის დაკმაყოფელებას ან პრეტენზიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

15.19. გადაწყვეტლებაში ასევე უნდა მიეთითოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა.

15.20. თუ მხარეები არ მოითხოვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ან ამას ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტიების შესავალი, აღწერილობითი და დადგენილებითი ნაწილების ჩამოყალიბებით.

15.21. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში.

15.22. არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

15.23. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანხმობით.

15.24. არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა შეთანხმებით განმარტოს გადაწყვეტილება. არბიტრაჟი განმარტების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, იძლევა განმარტებას ან გამოაქვს გადაწყვეტილება განმარტებაზე უარის თქმის შესახებ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.25. არბიტრაჟს შეუძლია მხარის თხოვნით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორებანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.26. გადაწყვეტილების გამომტან არბიტრაჟს უფლება აქვს მიღებულ გადაწყვეტილებაზე თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ თხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტბანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) არბიტრაჟს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ)არბიტრაჟს არ გადაუწყვეტია საარბიტრაჟო ხარჯების საკითხი.

15.27. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 5 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

15.28. დამატებითი გადაწყვეტილება არბიტრაჟს გამოაქვს საარბიტრაჟო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებით მხარეებს, მაგრამ, მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას.

15.29. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლია ხელახლა განაცხადონ არბიტრაჟში იგივე საპრეტენზიო მოთხოვნები იმავე საფუზველზე, აგეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

15.30. სანოტარო წესით დამოწმებული საარბატრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოცხადების მომენტიდან, თუ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეიტლების სხვა კერძო არბიტრაჟის მიერ გადასინჯვის შესახებ. ამ შემთხვევაში არბიტრაჟში გადაწყვეიტლების გადასინჯვის ვადა არის 30 დღე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ვადის ათვლა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. საქმის გადასინჯვის დროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს ამ დებულებით გათვალისწინებული საერთო წესების თანახმად.

15.31. საარბიტრაჟო გადაწყვეტილბის თითო პირი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარეს და იმ რაიონულ(ქალაქის) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი.

15.32. მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არის დასაშვები მისი იძულებითი აღსრულება. 15.33. სააღსრულებლო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის მისთვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

**მუხლი 16. საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები**

16.1. არბიტრაჟი დებულებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ: ა) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ; ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე; გ) მხარეები მორიგდნენ. არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო საქმის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზეგანცხადებით მიმართვიდან 3 დღის ვადაში; დ) საქმის ერთ—ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, როცა სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

16.2. საქმეზე წარმოება შეწყდება არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, ხოლო პრეტენდენტის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმის შემთხვევაში, არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

16.3. მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. მხარეთა მორიგების შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს მხარეთაშორის შეთანხმებული გადაწყვეტილება.

16.4. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

**მუხლი 17. პრეტენზიის განუხილველად დატოვება**

17.1. არბიტრაჟი მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს პრეტენზიას, თუ: ა) პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე; ) საარბიტრაჟო სხდომაზე პრეტენდენტი არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა პრეტენზიის განუხილველად დატოვებისა; გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა;

17.2. პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება.

17.3. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო პრეტენზიის განუხილველად დატოვებს, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

17.4. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელიც ჩაბარდება პრეტენდენტს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50 %, ამასთან საარბიტრაჟო მოსაკრებელი არ შეიძლება იყოს დებულების 4,7 მუხლით დადგენილ ოდენობაზე ნაკლები.

**მუხლი 18. საქმის წარმოების გადადება და შეჩერება**

18.1. აუცილებლობის შემთხვევაში არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა.

18.2. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია საქმის წარმოების შეჩერება.

**მუხლი 19. საარბიტრაჟო ოქმი**

19.1. არბიტრაჟის თითოეული სხდომის შესახებ და აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული ცალკეული საარბიტრაჟო—საპროცესო მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

19.2. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საარბიტრაჟო—საპროცესო მოქმედების ძირითად მომენტებს.

19.3. ოქმს ადგენს მდივანი (გამონაკლის შემთხვევაში თვით არბიტრი) საარბიტრაჟო სხდომაზე ან სახდომის გარეშე ცალკეული საარბიტრაჟო—საპროცესო მოქმედების დროს.

19.4. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომლებსაც, მათი აზრით, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

19.5. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საარბიტრაჟო—საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.

19.6. ოქმს ხელს აწერენ არბიტრი და მდივანი, ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავდა,— ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი.

19.7. არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი, რომელთა ჩანაწერწზიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო—საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ მაგნიტოფონისა თუ კომპიუტერის ჩანაწერწზი გადატანილი უნდა იქნეს ოქმში.

# ეს იყო, იყო...

● მერაბიშვილის შესახებ საზოგადოებას არც თუ დადებითი განწყობა აქვს. წარუმატებელი სპეცოპერაციები (მსხვერპლითძ, გირგვლიანის, რობაქიძის, ფხაკაძის გახმაურებული მკვლელობები, რომლებშიც მონაწილენი მინისტრის ახლობლები აღმოჩნდნენ



№ 229. ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

**◎ ინფორმაცია**

## იურიდიული დახმარების სამსახურს ახალი ემბლემა ექნება

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურმა ახალი ემბლემის შექმნაზე კონკურსი გამოაცხადა.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სამსახურის ხელმძღვანელის რუსუდან ტაბატაძის თქმით, ემბლემაში ასახული უნდა იყოს იურიდიული დახმარების სისტემის ძირითადი პრინციპები – მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, სამართლიანობა, მხარეთა თანასწორობა და სხვა.

კონკურსში მონაწილე პირმა განაცხადი და თანდართული მასალა დალუქული კონვერტით, ემბლემის გამოსახულება და აღწერა იურიდიული დახმარების სამსახურში უნდა წარადგინოს 2007 წლის 7 დეკემბრამდე.

კონკურსში გამარჯვებულისათვის ჯილდოს სახით დაწესებულია 500 ლარი.

## შეავსეთ შეიარაღებული ძალები

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეიარაღებულ ძალებში იწვევს და საკონტრაქტო პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლას სთავაზობს.**

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სამხედრო მოსამსახურეები 4 წლის განმავლობაში მაღალ ანაზღაურებას მიიღებენ, უზრუნველყოფილნი იქნებიან თანამედროვე აღჭურვილობით და სრულფასოვანი კვებით, ისარგებლებენ უფასო სამედიცინო მომსახურებით, ექნებათ სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტია და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის საშუალება.

## აფხაზები უკანონო სამხედრო წვრთნებს გეგმავენ

**აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების ხელმძღვანელი თორნიკე კილანავა აცხადებს, რომ აფხაზი სეპარატისტები კონფლიქტის ზონაში, ზემო-აფხაზეთის უშუალო სიახლოვეს უკანონო სამხედრო წვრთნებს გეგმავენ.**

როგორც კილანავა სააგენტოსთან საუბრისას აღნიშნავს, სეპარატისტების მიერ მიმდინარე წლის 25 დეკემბერს წებელდის პოლიგონზე დაგეგმილი წვრთნები კონფლიტის ზონაში მათ მიერ ჩატარებული მესამე უკანონო წვრთნები იქნება. კილანავა ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჯერად დაგეგმილი სამხედრო წვრთნები წინა მსგავს ღონისძიებებთან შედარებით გაცილებით მასშტაბური ხასიათისა იქნება.

– ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 25 დეკემბერს დაგეგმილი სამხედრო წვრთნებისათვის ზემო სოჭიდან აფხაზეთში სამხედრო მძიმე ტექნიკით დატვირთული ორი ეშელონი უკვე შევიდა, – აცხადებს კილანავა.

მისივე თქმით, სამხედრო მძიმე ტექნიკით დატვირთული ერთი ეშელონი ოჩამჩირეში გადმოიტვირთა, მეორე კი – სოხუმში.

– საუბარია ტანკებზე, ჰაუბიცებზე და საერთოდ ყველა იმ სახის შეიარაღებაზე, რომლის არსებობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით კონფლიქტის ზონაში დაუშვებელია, – აცხადებს კილანავა და დასძენს, რომ, მისი აზრით, ზემო აფხაზეთის უშუალო სიახლოვეს, ლათასთან სეპარატისტების წვრთნები ზემო აფხაზეთს უქმნის საფრთხეს და სეპარატისტების მიერ არაერთგზის გაკეთებულ განცხადებას კოდორის ხეობის „დაბრუნების" შესახებ კიდევ უფრო რეალურს ხდის.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, იგეგმება, სამთო-მსროლელი შენაერთების სამხედრო სწავლება, რომლის დროსაც საბრძოლო სროლებიც განხორციელდება.

სწავლება ზემო-აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზეა დაგეგმილი, რომლის დროსაც შემთხვევით რამდენიმე ჭურვი ზემო-აფხაზეთში დაეცემა, რამაც ქართული მხარის პროვოცირება უნდა გამოიწვიოს.

დე ფაქტო ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდეს, ან ქართულმა მხარემ გამოძიება მოითხოვოს.

ამ მოტივით აფხაზეთის ტერიტორიაზე 200-ზე მეტი რუსი სამხედრო მოსამსახურეა ჯავშანტექნიკა და ქვემეხებია შეყვანილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**სააქციო საზოგადოება „ბალნეოლოგიური კურორტი სამტრედიის" აქციონერთა კრება ჩატარდება 2007 წლის 14 დეკემბერს დღის 12 საათზე: სამტრედია, ეგრისის 56.**

**დღის წესრიგი:**

1. განვლილი წლის შედეგები;
2. კურორტზე შექმნილი რთული ვითარება.

**დირექცია**

**◎ გუშინდელნი**

# დამოუკიდებლობის 17 წელი და 9 შს მინისტრი

### 8. ხისტი მინისტრი

**მორიგმა სახელისუფლებო როტაციამ, შსს მინისტრად გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადმოყვანილი ირაკლი ოქრუაშვილი მოგვივლინა. ახალ მინისტრს თავი დიდად არ შეუწუხებია კრიმინალური ვითარების დარეგულირებით. მან დაიწყო ხისტი რეფორმები და საკადრო ცვლილებები შსს-ში.**

ოქრუაშვილის დროს საერთოდ გაუქმდა ადმინისტრაციული პოლიცია, უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი. მნიშვნელოვნად შემცირდა ოპერატიული სამსახურების თანამშრომელთა რიცხოვნობა. გაუქმდა შინაგანი ჯარი. ფუნქციონირება შეწყვიტეს აჭარისა და აფხაზეთის (დევნილობაში მყოფიძ ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებმა. მათ მაგივრად შემცირებული კონტინგენტით შეიქმნა სამმართველოები. წმენდის დროს აფხაზეთის ლეგიტიმური შსს-ს 2400 თანამშრომლიდან სამუშაოს შემორჩა 600. სამსახურიდან დათხოვნილთა აბსოლუტური უმრავლესობა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე აღმოჩნდა.



შემცირებების პარალელურად, ახალმა მინისტრმა შსს-ში ხელმძღვანელ თანამდებობებზე პროკურატურიდან გადმოყვანილი კადრების დანიშვნა დაიწყო. ცვლილებები დაბალ რგოლებსაც შეეხოთ. სპეციალისტები და ანალიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ შსს-ში ისეთი პერიოდი იდგა, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის აღარავის ეცალა. ყველა თვითგადარჩენაზე ზრუნავდა. შექმნილი მდგომარეობის გამო, უაღრესად გართულდა კრიმინოგენური ვითარება. იყო დღეები, როდესაც ქვეყნის მასშტაბით 24 საათში მომხდარი დანაშაული ასსაც აჭარბებდა. თვალშისაცემი გახდა მძიმე დანაშაულების მატება.

ოქრუაშვილის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა სასიამოვნო ნოვაციას. დედაქალაქსა და ქვეყნის მსხვილ ქალაქებში ფუნქციონირება იწყო პატრულმა. ექსპერტთა მოსაზრებით პატრულმა მოსალოდნელზე მეტად გაამართლა. გაჩნდა ყოველდღიური გადაცემა „პატრული".

ახალმა მინისტრმა თავის ყველა წინამორბედზე მეტად კონსპირაციული გახადა შსს-დან ინფორმაციების გაცემა. სამინისტრო მთლიანად ჩაიკეტა მასმედიის საშუალებებისათვის.

ყოფილი გენერალური პროკურორი შს მინისტრის თანამდებობაზე რამდენიმე თვე დარჩა. იგი თავდაცვის მინისტრად გადაიყვანეს. იყო ორდღიანი ეკონომიკის მინისტრი. ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამჟამად გირაოს თავდებითაა განთავისუფლებული და ბერლინში იმყოფება.

### 9. უხერხულობაში არაერთგზის ჩავარდნილი მინისტრი

**მთავრობაში მინისტრთა მორიგი გადაადგილებების შედეგად შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი გახდა. იგი, ბოლშევიკების მმართველობის დასრულების შემდეგ, პირველი ქართველი მინისტრი გახდა, რომელმაც ნკვდ-ს მსგავსად შეითავსა შსს-სა და უშიშროების სამინისტროების ხელმძღვანელობა.**

მერაბიშვილის შესახებ საზოგადოებას არც თუ დადებითი განწყობა აქვს. წარუმატებელი სპეცოპერაციები (მსხვერპლითძ, გირგვლიანის, რობაქიძის, ფხაკაძის გახმაურებული მკვლელობები, რომლებშიც მონაწილენი მინისტრის ახლობლები აღმოჩნდნენ. მერაბიშვილს საჯაროდ სდებენ ბრალს მკვლელობების შეკვეთებში, მკვლელობების მფარველობაში, კორუფციასა და უკანონო ბიზნესში, „ზონდერკამანდების" ჩამოყალიბებებში, შსს-სა და უშიშროების გაერთიანებულ სამინისტროთა დასაკითხ ჯურღმულებში ჩაყვანილი ეჭვმიტანილების არნახულ ტანჯვა-წამებაში.

მინისტრს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ გირგვლიანის გახმაურებულ საქმესთან შეხების მქონე პირები კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარე დათა ახალაია და შსს-ს პრესცენტრის უფროსი გურამ დონაძე (მინისტრზე უდიდესი გავლენის გამო სამინისტროში მას „დონ გურამისაც" ეძახიანძ მერაბიშვილმა მხოლოდ აღშფოთებული საზოგადოების დაშოშმინების გამო ვითომდა გაათავისუფლა თანამდებობიდან. სინამდვილეში დღიდან მკვლელობაში მათი მონაწილეობის თაობაზე ეჭვის გაჩენისა, ორივე წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას.

მერაბიშვილის კადრების შერჩევის უვარგის მეთოდებსაც უწუნებენ. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის არნახული გაფურჩქნის პირობებში მინისტრმა ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება საზოგადოებას თხოვა. მან ათასლარიანი პრემიაც დააწესა მათთვის, ვინც სამართალდამცავებს მიაწვდიდა ინფორმაციას რეალიზატორების შესახებ. სამინისტრო სრული კონფიდენციალურობის გარანტიას იძლეოდა. ამით მინისტრმა ფაქტობრივად აღიარა თავისი თანამშრომლების უუნარობა. დაწესებული პრემია, ოფიციალური მონაცემებით, თითქმის ორი წლის გასვლის შემდეგაც არ გაცემულა.

მოსახლეობაში ღრმად არის გავრცელებული აზრი, რომ ნარკოტიკების რეალიზატორებს მთავრობის მაღალ ეშელონებსა და შსს-ს მაღალი ჩინები მფარველობენ. ამის დამამტკიცებლად ის გარემოება მოაქვთ, რომ ნარკომანიის არნახულად გაფურჩქვნის პირობებში ამგვარი დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფების გაძლიერების მაგივრად მოხდა სამსახურების გაუქმება პოლიციის ყველა რაიონულ, საქალაქო და სამხარეო სტრუქტურებში. შეიქმნა ერთი სამმართველო, რომელიც მოდულის შენობაშია განთავსებული. მისი თანამშრომლების რიცხოვნობა 40-მდე დავიდა.



ექსპერტები ფიქრობენ, რომ თბილისში მოკალათებული 40 კაცი პრობლემას ვერ მოაგვარებს. ეს მთავრობაშიც და შსს-შიც კარგად იციან. ძლიერთა ამ ქვეყნისათ ურჩევნიათ იყვნენ მცირერიცხოვანი, მაგრამ საიმედო ხალხით დაკომპლექტებული, კონტროლირებადი და ცენტრალიზებული სისტემა, ვიდრე რეგიონსა და რაიონებში გაფანტული.

ექსპერტები, ანალიტიკოსები, ყოფილი და მოქმედი პოლიციელების ნაწილიც კი უკმაყოფილებას გამოთქვამს (სხვადასხვა გარემოებისა და მოსაზრების გამოძ მინისტრ მერაბიშვილის მოღვაწეობაზე. 7 ნოემბერს მომხდარს კი მისი „წარმატებების" გვირგვინად მიიჩნევენ.

**ზაზა ბილიხოძე**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 226-227.**

# სპორტი

● ვიმედოვნებთ, ახალკაცი და მისი შტაბის წევრები გუშინწინდელი წარმატების ხშირ-ხშირად დამადლებით თავს არ მოგვაბეზრებენ ისე, როგორც შოტლანდიელებთან ეროვნული ნაკრების ამასწინანდელი „ძლევაი საკვირველის“ შემთხვევაში მოხდა



## ◉ ორბიტაზე

### უნიკალური მატჩი



**ხვალ მოსკოვის სახელმწიფო უნივერმაღი უმასპინძლებს უნიკალურ საჭადრაკო ორპარტიიან მატჩს. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, რუსეთელი ვლადიმერ კრამნიკი. ეს შეხვედრა ჩვეულებრივისგან იმით გამოირჩევა, რომ დიდოსტატები კომპიუტერების დახმარებით ითამაშებენ.**

როგორც რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრე ბახმა განაცხადა, მაყურებლებს შეეძლოთ ორ ეკრანზე მოჭადრაკეთა გადაწყვეტილებების თვალის დევნება, მესამე ეკრანზე კი პარტიის მიმდინარეობას აჩვენებენ.

როგორც ორივე დიდოსტატი აცხადებს, ასეთი მატჩები მკვეთრად აამაღლებს თამაშის დონეს. კომპიუტერი ორივეს კარგ დამხმარედ მიაჩნია ტურნირებისთვის მოსამზადებლად.

### პირველების საჩვენებელი შეხვედრა



**სეულში გაიმართა 2004-2007 წლების პლანეტის პირველი ჩოგანის, 26 წლის შვეიცარიელის როჯერ ფედერერისა და ამ წოდების 6-გზის მფლობელის (1993-1998 წლებიძ, 36 წლის ამერიკელის პიტ სამპრასის საჩვენებელი მატჩი.** პირველი პარტიის დასაწყისში ამერიკელმა უპირატესობა მოიპოვა — 4:2, მაგრამ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება და დამარცხდა 4:6, 3:6. თამაშის შემდეგ სამპრასმა განაცხადა, რომ არ აპირებს პროფესიული კარიერის გაგრძელებას.

### ალონსო „რენოში“ ბრუნდება?

**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მონაწილე საჯინიბო „რენოს“ მფლობელმა ფლავიო ბრიატორემ იტალიურ რადიოს განუცხადა, რომ 2008 წლის სეზონში მის გუნდს პილოტების ახალი წყვილი ეყოლება. ამით მან დაადასტურა, რომ გუნდიდან მიდიან იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელა და ფინელი ჰეიკი კოვალაინენი.**

ამავე დროს, ფლავიო გულშემატკივრებს დაპირდა, რომ ორ-სამ დღეში კონტრაქტს გააფორმებენ „რენოს“ყოფილ პილოტთან, ორგზის მსოფლიო ჩემპიონთან, ესპანელ ფერნანდო ალონსოსთან, გასულ სეზონში „მაკლარენში“ რომ ასპარეზობდა, ხოლო მისი მეწყვილე, ალბათ, იქნება ბრაზილიელი ნელსონ პიკეუმცროსი.



## ◉ ფეხბურთი

# ჩვენ ვირჩევთ რუსეთს

**25 ნოემბერს „მუნდიალ-2010“-ის შესარჩევი რაუნდის კენჭისყრაა დანიშნული. ვინატროთ, რომ „ჯვაროსნებს“ ჯგუფში ერთ-ერთ მეტოქედ რუსეთის ნაკრები ერგოთ. იცით, რატომ? — უკეთეს გამღიზიანებელსა და ბრძოლის ჟინით ჩვენი ბიჭების დამმუხტავს ძნელად თუ იპოვის კაცი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ჩრდილოელ მეზობლებთან ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პროგრამით გამართული შეხვედრის შემდეგ, რომელიც პეტარ სეგრტის გუნდმა 2:0 მოიგო (ბარაბაძე, გოცირიძე).**



შეგახსენებთ, რომ სტუმრები თბილისს ოთხ მატჩში დაგროვებული ქულათა მაქსიმუმითა და გაშვებულ გოლთა გრაფაში „ნულით“ ეწვივნენ, ჩვენი თანამემამულენი კი თავს მხოლოდ ყაზახებთან სამადლოდ მოპოვებული კინკილა გამარჯვებით იწონებდნენ. მიუხედავად მწირი მონაგრისა, ერთი რამ არ უნდა დავუკარგოთ ქართული ფეხბურთის უახლოეს რეზერვს — იგი წაგებულ თამაშებში არც საკუთარ კოჭებს უფრთხილდებოდა და არც მოწინააღმდეგისას. საქმისადმი მწვრთნელთა და შეგირდთა პროფესიულმა მიდგომამ ნაყოფი სეზონის ფინიშზე მოისხა პრინციპულ ოპონენტთან, ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს კი, როგორც იქნა, საფუძველი მიეცათ სიამაყით თქვან: „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“. **ვიმედოვნებთ, ახალკაცი და მისი შტაბის წევრები გუშინწინდელი წარმატების ხშირ-ხშირად დამადლებით თავს არ მოგვაბეზრებენ ისე, როგორც შოტლანდიელებთან ეროვნული ნაკრების ამასწინანდელი „ძლევაი საკვირველის“ შემთხვევაში მოხდა.**

**გია პლატონიშვილი**

## ◉ მშვილდოსნობა

# 15 ჩუბინის მონაწილეობით



**დამთავრდა მშვილდოსანთა საქართველოს თასის გათამაშება, რომელიც წლეულს სამ ეტაპად გაიმართა. მესამე ტურში თბილისისა და აჭარის 15 მშვილდოსანი გამოვიდა სტარტზე. ქალთა დასკვნით შეხვედრაში ქრისტინე ესებუამ აჯობა ხათუნა ნარიმანიძეს — 109:105, ასმათ დიასამიძემ კი იამზე ტალახაძე დაამარცხა — 100:96, ვაჟებში დიმიტრი კირიჩენკომ ტარიელ ქადაგიძეს სძლია 103:96, ლაშა მაჩაიძემ კი ვლადიმერ ბოლქვაძეს მოუგო — 101:75.**

დასკვნითი ტურის შემდეგ გამოვლინდა ის რვა ჩუბინი, რომლებსაც ფლეიოფში მთავარი პრიზისთვის უნდა ებრძოლათ. ქალთა ნახევარფინალში ესებუა და ნარიმანიძე იოლად გაუსწორდნენ თავიანთ მეტოქეებს — ტალახაძეს (109:103ძ და დიასამიძეს (112:97ძ. მათი გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი ესებუამ მოიგო (109:102ძ და თასიც მოიპოვა. მესამე ადგილი ტალახაძის მძლეველ (98:94ძ დიასამიძეს ხვდა.

ვაჟებში გიორგი ტერუნაშვილმა ზედიზედ მოუგო ქადაგიძეს (102:92ძ და კირიჩენკოს (99:96ძ, რითაც მთავარი პრიზიც დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე კირიჩენკო და ქადაგიძე გავიდნენ.

## ◉ რაგბი

# ჩემპიონმა „ბრინჯაო“ იგემა

**დასასრულს უახლოვდება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. 25 ნოემბერს ფინალში „ლელო“ „ყოჩებს“ დაუპირისპირდება. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ქვეყნის ჩემპიონმა, წლეულს „ლიგამურად“ მონათლულმა „ლოკომოტივმა“ შესარჩევი ფინალი დათმო „ყოჩებთან“.**

შეხვედრა დაძაბული გამოდგა. „შევარდენის“ მოედანზე გამართულ ორთაბრძოლაში თავიდან რკინიგზელები დაწინაურდნენ — ზუსტი საჯარიმო დარტყმით კვინიხიძემ გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს მანვე 6-მდე გაზარდა სხვაობა. შესვენების შემდეგ „ყოჩებმა“ იყოჩაღეს, საბოლოოდ გაიმარჯვეს 18:9 და ოქროს მედლებისთვის გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს. უკვე ექსჩემპიონი „ლიგამური“ „ბრინჯაოს“ დასჯერდა.



* * *

***წლევანდელ ჩემპიონატში, მოგეხსენებათ, 6 გუნდი მონაწილეობდა.*** *ჯგუფური ტურნირის შემდეგ „არმაზმა“ მეხუთე ადგილი დაიკავა და ახლა უმაღლეს ეშელონში დასარჩენად იბრძვის. საამისოდ არმაზელებს პირველლიგელი „აკადემიის“ დამარცხება მოუწევთ ორრაუნდიან პაექრობაში. პირველ შეხვედრაში „არმაზმა“ 15:8 გაიმარჯვა. გუნდები განმეორებით 24 ნოემბერს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.*

## ◉ კადრი



## ◉ ოლიმპიზმი

# დაიწყეს ლამაზმანების შერჩევა

**პეკინის ოლიმპიადის ჩამტარებელმა ჩინეთის ეროვნულმა კომიტეტმა დაიწყო იმ ლამაზმანების შერჩევა, რომლებიც თამაშების გამარჯვებულთა დაჯილდოებისა და სხვა საზეიმო ცერემონიალებში მიიღებენ მონაწილეობას.**

გავრცელებული ინფორმაციით, შეარჩევენ მხოლოდ მაღალ, ულამაზეს და ჰაეროვან გოგონებს. ოლიმპიური კომიტეტი დაბლებსა და „პუტკუნებს“ სთხოვს, ნუ გამოგვეხმაურებითო. უკვე განსაზღვრულია, რომ ის ლამაზმანები, რომლებიც დაჯილდოებისას ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებს გამოიტანენ, უნდა იყვნენ ჩინეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები 19-დან 25 წლამდე და საშუალოდ 169-178 სანტიმეტრისა. ყველა გოგოს განსაკუთრებული უნიფორმა ეცმევა.

# საზოგადოება

● ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაფუძნებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ანალოგიური დაწესებულების არსებობა და სერიოზული ფუნქციონირება ჩვენი გადაუდებელი საქმეა





⦿ დღეს — ხვალისათვის

# ერთი სამეცნიერო საზოგადოების იუბილე და დღევანდელობა

**ქართველმა საზოგადოებრიობამ მშვენივრად უწყოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი წარსულის ცოდნას ერის თავისთავადობის შესანარჩუნებლად თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. მოწინავე ქართველები ცდილობდნენ არსებული კადრების ერთად თავმოყრას, თავიანთი ძალისხმევის გაერთიანებას. ცნობილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით, 1873 წელს დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება. მის ბაზაზე და დიმიტრი ბაქრაძისავე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (ფუნქციონირებდა 1881-86 წლებში). მაგრამ საზოგადოებრიობას ეს როდი აკმაყოფილებდა, მას სურდა შესაბამისი სამეცნიერო საზოგადოება დაკავებული ყოფილიყო მხოლოდ საქართველოს ისტორიის თემატიკით.**

1880-იანი წლების დასაწყისში ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი თანამოაზრე და თანამებრძოლი გრიგოლ ყიფშიძე სთხოვდა დ. ბაქრაძეს, შეედგინა საზოგადოების „წესდებულება“ (წესდება). დიდად სამწუხაროდ, ამგვარ წამოწყებას სასურველი ბოლო არ ჰქონია.



მსგავსი მცდელობა გააგრძელა ასევე ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა ექვთიმე თაყაიშვილმა. 1900 წლიდან მას თბილისში ჩამოყალიბებული ჰქონდა „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებით ნებადართულ იქნა ეროვნულ სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსება, ექვთიმე თაყაიშვილმა შეადგინა წესდების პროექტი, რომელიც თხოვნასთან ერთად წარუდგინა მეფისნაცვალს კავკასიაში ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. უკანასკნელმა ნება დართო ერთი წლის შემდეგ, 1907 წლის ივნისში, რის საფუძველზედაც 30 ივნისს წესდება დამტკიცდა. ამავე წლის 20 სექტემბერს შედგა დამფუძნებელი კრება, რამაც დასაბამი მისცა „საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებას“. სხვათა შორის, გრიგოლ ყიფშიძის აზრით, „ილიავეა სულიერი მამა იმ ახალი საზოგადოების დაარსებისა, რომელმაც ასე მალე მოიპოვა თანაგრძნობა ჩვენის ქვეყნისა და რომელსაც ეწოდება „საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება“.

როგორც ვხედავთ, ამ საზოგადოებას ამ დღეებში ასი წელი შეუსრულდა. კარგად არის ცნობილი იუბილარი საზოგადოების საქმიანობა (ამის თაობაზე იხილეთ როინ მეტრეველის სპეციალური მონოგრაფია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიოს საზოგადოება“, თბილისი, 1982).

ექვთიმე თაყაიშვილის საზღვარგარეთ (საფრანგეთში) წასვლის შემდგომ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილი. ცხადია, ამგვარი საზოგადოების არსებობას, მით უფრო ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეურიგდებოდა და მან, ივანე ჯავახიშვილის შერისხვისას, 1931 წელს, არსებობა შეწყვიტა.

საბჭოთა ხელისუფლების აზრით, მით უმეტეს 1936 წელს, ენიმკი-ს (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის), ხუთი წლის შემდეგ კი ისტორიის ინსტიტუტის დაფუძნებით, თითქოს ზედმეტი გახდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებული სამეცნიერო საზოგადოების ფუნქციონირება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლების შედარებითი ლიბერალიზაციის კვალობაზე, დაარსდა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო-საზოგადოებრივი საზოგადოება, რომელსაც 1976 წლის შემდგომ ეწოდა „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ და რომელიც ფუნქციონირებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან. ამ საზოგადოებას 1966 წლამდე სათავეში ედგა ნიკო ბერძენიშვილი, ხოლო შემდეგ, ოცი წლის განმავლობაში — გიორგი ჩიტაია.

ვიმეორებთ, მიუხედავად მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის, ასევე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრების არსებობისა, ამ საზოგადოებას ჰქონდა თავისი ფუნქციები, რომელიც ასე თუ ისე აღსრულდებოდა.

საზოგადოების წესდების თანახმად, უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ყრილობა, რომელიც უნდა გამართულიყო ხოლმე ხუთ წელიწადში ერთხელ. 1989 წლის 25 ნოემბერს შედგა მორიგი ყრილობა, რომელსაც ახალი წესდება უნდა მიეღო. ყრილობა უნდა გაგრძელებულიყო მეორე დღესაც, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

ამ თავმოუბმელობას დაემატა, აგრეთვე, საქართველოში განვითარებული ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. ყოველივე ამის გამოისობით „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ თავისი საერთო კრებებით, სამეცნიერო საბჭოთი, პრეზიდიუმით, ადგილობრივი ორგანიზაციებით და ა.შ. და, რაც უფრო მთავარია, თავისი ფუნქციებით, ფაქტობრივად აღარ არსებობს. ამ ხნის მანძილზე იგი თავს გვახსენებდა მხოლოდ სხვადასხვა განცხადების კეთებისას. ოდენ თსუ-ის სოხუმის ფილიალის ადგილობრივი ორგანიზაციის ბაზაზე თუ ცდილობდნენ მისთვის სული ჩაებერათ. იყო რამდენიმეგზისი დაპირება, კერძოდ, განსვენებულ აკადემიკოს ანდრია აფაქიძის პირით, რომ „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ განაახლებდა სერიოზულ ფუნქციონირებას, მაგრამ ამაოდ.

ჩვენი მტკიცე შეხედულებით, დღევანდელობა მწვავე გამოწვევას სთავაზობს ქართველ ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს... მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ეს უკანასკნელნი სათანადოდ რეაგირებდნენ მასზე. ამას კი ხელს უშლის შესაბამისი სპეციალისტების გაერთიანების არარსებობა. ე.წ. საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი კი ოდენ ფორმალურად, გერონტოკრატიის მხრივ საზოგადოების თვალის ასახვევად არსებობს.

ასე რომ, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაფუძნებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ანალოგიური დაწესებულების არსებობა და სერიოზული ფუნქციონირება ჩვენი გადაუდებელი საქმეა. დრომ მოიტანა უამრავი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც გათითოკაცებულ ისტორიკოსებს და ა.შ. არ ძალუძთ.

შევახსენებთ, რომ იუბილარი საზოგადოება მხოლოდ სამეცნიერო კი არა, საზოგადოებრივი ხასიათისაც იყო. მასში გაწევრიანებულ ხუთასზე მეტ წევრს შორის მეცნიერთა რაოდენობა უმნიშვნელო გახლდათ. კერძოდ, მასზე ზრუნავდნენ ცნობილი ქველმოქმედები. ამდენად, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის საქმე ჩვენი, საერთოდ საზოგადოების საქმეც არის.

დაბოლოს, დავძენ, რომ საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით აუცილებელია გავიხსენოთ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ღვაწლი და მნიშვნელობა. მაგრამ უფრო მთავარია, წარმატებით გავაგრძელოთ ის საქმე, რასაც ეს საზოგადოება ემსახურებოდა.

**გურამ ყორანაშვილი**

⦿ ინფორმაცია

## ოქრუაშვილის საქმეზე მოსამართლის აცილებას ითხოვენ

**ეკა ბესელია ირაკლი ოქრუაშვილის საქმის მოსამართლის აცილებას ითხოვს.**

ბესელიამ ეს შუამდგომლობა მას შემდეგ დააყენა, რაც მას შუამდგომლობების დაყენების უფლება არ მიეცა.

ადვოკატი ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვდა.

როგორც ბესელიამ აღნიშნა, სასამართლო გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარეს აქვს სისხლის სამართლის კოდექსით მინიჭებული უფლება, რომ თუ გამოიკვეთება განსასჯელის უდანაშაულობა, სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

— სასამართლო გამოძიების დაწყებისთანავე, როცა გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა, ოქრუაშვილის უდანაშაულობა გამოიკვეთა და, აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა დამდგარიყო შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, თუმცა მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების უფლება არ მომცა, — აღნიშნა ადვოკატმა.

მოსამართლისა და ბრალდების მხარის განმარტებით კი ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი მხოლოდ საბრალდებო დასკვნა ვერ გახდებოდა.

მათი თქმით, დაცვის მხარეს ეს შუამდგომლობა მაშინ უნდა დაეყენებიდან, თუ კიდევ სხვა მტკიცებულებების გამოკვლევა მოხდებოდა და ოქრუაშვილის მიმართ ბრალდებები უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა.

ეკა ბესელიამ სასამართლო სხდომათა დარბაზში განცხადებაც გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, სასამართლო პროცესის პერიოდში ოქრუაშვილის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია უხეშად ირღვევა.

**ინტერპრესნიუსი**

⦿ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, რის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი?**

**ოთარ ჩადუნელი**

**პასუხი:** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას: კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. აქვე განგიმარტავთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ერთდროულად დააფუძნოს რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანომ.



* * *

**კითხვა: რა ითვლება დავად შრომითი ურთიერთობის დროს? ვმუშაობთ კერძო სტრუქტურაში და ამ საკითხის ცოდნა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი.**

**გია ნიკოლაიშვილი, ნინო შენგელია**

**პასუხი:** კანონის თანახმად, დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა დროიდან ინიშნება ასაკის პენსია?**

**ანზორ დურგლიშვილი**

**პასუხი:** 2001 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საპენსიო კანონის თანახმად, პენსია ინიშნება სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონულ სამსახურში განცხადებისა და საჭირო საბუთების წარდგენის დღიდან.

* * *

**კითხვა: დაწესებულების ხელმძღვანელმა დაარღვია შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რითაც დიდად დამაზარალა. შეიძლება ეს გახდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი?**

**ანა რუხაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, ერთ-ერთი მხარის (დამსაქმებლის ან დასაქმებულის) მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა შეიძლება გახდეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!**



## ◎ მოულოდნელი რაკურსით

# დედაბუნებასთან ვიყოთ მუდამ!

**გინდათ, დამშვიდდეთ? – შეხედეთ ფიჭვს!**

**თავის გადასარჩენად რომ აღარაფერი დაგვრჩა, საკუჭნაოში მიგდებულ, ხელით ნაჩუქურთმევ, დიდედაჩემის ნაქონ კარადას მივადექით. რამერუმეებისგან მისი გათავისუფლების დროს ერთ გაყვითლებულ, დაძენძილ კონვერტს წავაწყდი. შიგ აღმოჩნდა წერილი, რომელიც პაპაჩემს კატორღიდან გამოუპარებია (მას პოლიტიკური მოტივით სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და შემდეგ ეს განაჩენი სამუდამო კატორღით შეუცვლიათ).**

წერილი იყო დაზორკილი, ღირსებააყრილი პატიმრის სულის შემძვრელი თხრობა იმ აუტანელ ტანჯვა-წამებაზე, განსაკუთრებული სისასტიკესა და თვალთვალზე, რომელიც მაშინდელ რუსეთში „საშიში" დამნაშავის ჩვეულებრივი ხვედრი იყო. ამდენად, არც მე გავუკვირვებივარ ამ ბარათის ტრაგიკულ შინაარსს, მაგრამ განმაცვიფრა მისმა ბოლო აბზაცმა: ვოცნებობ უკაცრიელ, დაბურულ ტყეზე, სადაც დარჩენილ წლებს გავატარებ ჩემს დაფანტულ, ჩუმ ფიქრებთან და ბედისწერასთან განმარტოებული.

გამაოცა იმან, რომ სამშობლოდან დევნილი ადამიანი ციხიდან თავის დაღწევის შემდეგ არ ფიქრობს ოჯახში, თავისიანებთან დაბრუნებაზე.

თუმცა ვის შეუძლია ამოიცნოს კატორღელის სულის მოძრაობა? იქნებ ხელისუფლებისგან დაშინებულის ლტოლვა სოფლის მყუდროებისკენ საკუთარი თავის განწმენდა-განახლებაზე ფიქრის ხორცშესხმას გულისხმობდა და არა ინერტიული, უმოქმედო ცხოვრებისკენ სწრაფვას. ანდა უკაცრიელი გარემოს მაძიებელი იქნებ მხოლოდ დათრგუნული, მაგრამ კვლავ ურჩი და გაუტეხელი იყო და არა დამარცხებული.

ამას ახლა ვერავინ გაარკვევს, მაგრამ ყოფიერების მძიმე წუთებში მართალი სულის ადამიანი რომ ბუნებაში განმარტოებას ეძებს, ამით ის ცდილობს, მიაშუროს მყუდრო და უშფოთველ სავანეს, სადაც საკუთარ თავზე მშვიდად ფიქრის შეუზღუდავი შესაძლებლობა ექნება.

ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, როგორც „ქართული სოფლის" რედაქტორს, მიკარნახა, მკითხველებისთვის მერჩია, ხშირად გასულიყვნენ ბუნებაში, რომელთანაც მუდმივი ურთიერთობის ჩვევა უმთავრესი ღირსება და სიდიადეა სოფლური ცხოვრების ყაიდისა. მან ისიც მითხრა, რომ ხშირად აკითხავენ სასოწარკვეთილი ადამიანები, რომლებსაც ვერ დაუოკებიათ თავგანწირული აღზნება სულისა და თავის მოკვლა განუზრახავთ. ამ საშინელი ფიქრით შეპყრობილთათვის უებარი წამალია ბუნებასთან სტუმრობა.

ვინც ბუნების სიმშვენიერეს ზიარებია, ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ ოდესღაც, როცა ამ ქვეყანაზე ხალხი უსაშველოდ გამრავლდება, მისი ნაწილი სხვა პლანეტაზე გადასახლდება. ადამიანის სევდა-სიხარული მხოლოდ აქ, მიწაზეა, რომელსაც ხშირად დედას, მარჩენალს ვუწოდებთ, ჰიმნებს ვუგალობთ და ვადიდებთ, მაგრამ... უზნეოდ, გულგრილად ვეპყრობით, უმოწყალოდ ვქელავთ და ვყვლეფთ. ვივიწყებთ, რომ ის ცოცხალი ორგანიზმია და როგორც ყველა არსება, ჩვენგან მხოლოდ მოფერებას, მოწყალებას საჭიროებს.

კი ბატონო, ყოვლისმპყრობელი ბუნების დამორჩილების მოსურნეს მიაჩნია, რომ ზურგშექცევის საბაბს თვით ბუნება გვაძლევს, დედაბუნების ჭეშმარიტმა მოსიყვარულემ და მორჩილმა კი კარგად უწყის, დედაბუნება ყოვლისმომცემიც და ყოვლის უკან წამღებიც რომ არის. თუნდაც როგორც ეს წლეულს მოხდა, როცა გაზაფხულზე გადაღებელმა წვიმებმა და ღვარცოფმა სავარგულები დატბორა, ზაფხულში კი მზე საამოდ კი არ გვათბობდა, უწყალოდ გვწვავდა, ურწყავში ნათესები და ბალახი გადაიტრუსა, ბუჩქნარიც სიკვდილის პირას მივიდა და ბევრი მეურნე უჭირნახულოდ დარჩა.

დასიცხულ ადამიანები შვებას მხოლოდ ბუნებაში გრძნობდნენ ნაშუადღევს, როცა მზე დასავლეთისკენ, შუბისტარზე გადაიხრებოდა. უფრო მოგვიანებით, როცა ნიავი ხეებს აშრიალებდა, ჩემს ბაღში სამოთხეს ემსგავსებოდა ვაზის ხეივნით მოვარაყებული სახლის აივნის იდუმალებით მოცული ჩერო, კარგ ამინდში იქიდან კარგად მოჩანს ცისფერ ეთერში ამართული მცხეთის ჯვრის ტაძარი. აქ ხან ისეთ ბუნებაზე ვდგები, ღმერთს მთრთოლვარე ხმით მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ მისი წყალობით ბუნების სიმშვენიერე ნეტარებას, სულიერ აღმაფრენას მანიჭებს; ნაყოფით დახუნძლულ ხეს ვეფერები და ვეჩურჩულები, შენს მადლს ვენაცვალე-მეთქი.

ვინც ხეებთან საუბარი, მათი მოსმენა იცის, ალბათ, მცენარის ტანის გახერხილ მხარეზე მთელი მისი ცხოვრების ამოკითხვაც ძალუძს. ამბობენ, ხის ტანში რგოლებად დახვეულ წლებში თუ წანაზარდებში ზუსტადაა აღწერილი ჟამთა სიავე, ავადმყოფობა, გადატანილი ქარიშხლები და მოგერიებული თავდასხმები, განვითარება და სიხარული. იმასაც ამბობენ, რომ ხეები, ადამიანებისა და ცხოველების მსგავსად, ფლობენ ბიოენერგიულ ბუნებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინფორმაციული კავშირის დამყარება ადამიანსა და ზეციურ ძალებს შორის.

ზოგიერთი ხე შესამჩნევ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. მაგალითად, იფანთან კონტაქტით ადამიანს გონება უნათლდება. ეს მცენარე, თურმე, მხოლოდ წრფელ ადამიანებს ეხმარება. ფიჭვი კი სიმშვიდის მომგვრელია. როცა პიროვნების ბედი წყდება და ამ დროს გონება აქვს ამღვრეული, მას უთუოდ დაეხმარება ფიჭვი. ასევე, სიმშვიდისა და წონასწორობის მომნიჭებელია ნეკერჩხალი, ხოლო ვერხვი შთანთქავს ყველა უარყოფით ენერგიას, ამცირებს აურის იისფერ სპექტრს, რის გამოც ის ძველად მაგიურ ხედ მიიჩნეოდა.



საერთოდ, ხეს ბოროტება არ ახასიათებს. ამიტომაც მივილტვით ბუნების წიაღისკენ, რომ ცოტა ხნით მაინც მოვექცეთ სუფთა სამყაროში, შევიგრძნოთ ღრმად ჩაფიქრების სიხარული, რომელიც იმედგაცრუებულ ადამიანსაც კი აშოშმინებს, საკუთარ თავთან ბრძოლის ძალას ჰმატებს, წუთისოფელში დიდხანს ყოფნის სურვილს უღვივებს, ირწმუნოს ბუნებისა და უფლის უსაზღვრო ძალა.

ამიტომ გვირჩევს ბრძენი წინაპარი: დედაბუნებასთან ვიყოთ მუდამ!

**ვასო კასრაძე,**
*საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი*

---

## ვეთხოვებით მეგობარს

# ზაზა ბეჟანიძე



გაოგნებულია მთელი რედაქცია – წინა საღამოს სალსალამათს დავემშვიდობეთ ჩვენს ზაზა ბეჟანიძეს, მეორე დილით კი მისმა მეუღლემ ტელეფონით შეგვატყობინა, ზაზა აღარ არის, ძილში გაიპარაო...

ღმერთო, დიდებულო!... რა მართალია რუსთველი, როგორც ყოველთვის: „ცდების და ცდების, სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად".

ჩვენი ზაზა, ჩვენი უკეთილშობილესი მეგობარი და კოლეგა!... როგორი მშვიდი, როგორი ზრდილი, როგორი ყურადღებიანი... თავისი საქმის დიდი პროფესიონალი... სულ ათიოდე წელიწადი იმსახურა მან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში და კაცს არ ახსოვს მისი ერთი უტაქტო და გადაბრუნებული სიტყვა, იცოდა თავისი საქმე, უმაღლეს დონეზე თარგმნიდა მრავალფეროვან ინფორმაციას და დიდი პატივისცემით სარგებლობდა რედაქციის თანამშრომელთა შორის..

ზაზა ბეჟანიძე ჩვენი უმშვენიერესი აჭარიდან იყო, დამთავრებული ჰქონდა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მუშაობდა საქინფორმში, ხოლო შემდეგ, აი, გუშინწინდელამდე, „საქართველოს რესპუბლიკაში".

წავიდა და დაგვიტოვა დიდი სევდა და ნაღველი...

23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ზაზა ბეჟანიძეს 52 წელი შეუსრულდებოდა...

ღმერთო, ნათელში ამყოფე ჩვენი ძვირფასი ძმა და კოლეგა!...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა რედაქციის მთარგმნელი

**ზაზა ბეჟანიძე**

გამოსვენება დღეს, 22 ნოემბერს, 14 საათზე, გია აბესაძის ქ.№15.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, საუკეთესო მეგობარი და მოქალაქე, ჩვენი გაზეთის ყოფილი საკუთარი კორესპონდენტი

**გივი თედეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ყოფილ თანამშრომელს ნანული ქოჩიშვილს შვილის

**მანანას**

გარდაცვალების გამო.

---

## ხსოვნა

# თამაზ თევდორაძე



ჩვენო თამაზ!

2008 წელი ჩვენი ერთად ყოფნის 60 წლის მანძილზე პირველი ახალი წელი იქნება, რომელსაც უშენოდ შევხვდებით.

შენ უსაზღვროდ თბილი და პირნათელი მეგობარი იყავი. ამიტომაც ასე ძლიერ დაგვწყვიტა გული შენმა უდროოდ წასვლამ ამ ქვეყნიდან.

ჩვენ კი, შენს მეგობრებს, ისღა დაგვრჩა, რომ დღენიადაგ მოვეფეროთ შენს სახელს, გავიხსენოთ შენთან ერთად გატარებული თითოეული დღე და დავანთოთ სანთლები შენს წმინდა საფლავზე.

თბილისის 39-ე საშუალო სკოლის 1961 წლის გამოშვების კურსდამთავრებულები.

---

**რეკლამა** *კოსტავას 12*

*„საქართველოს რესპუბლიკაში"*

**98-65-87; 899 32-85-76.**

№ 229. ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

● გერმანელი პავლე დრაილინგის მიერ გადარჩენილი უნიკალური ქართული ხატი მალე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაიდებს ბინას. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი „უცხოტომელები“

სულიერება

# გერმანელის მიერ გადარჩენილი ქართული ხატი



**ახლოვდება ქრისტიანული დღესასწაული – გიორგობა. საქართველო ოდითგანვე იყო მრავალეროვანი და შესაბამისად – მრავალი სარწმუნოების ქვეყანა.** ჩვენ ხომ ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა ვართ ამ მხრივ, უძველესი დროიდან არც ერთი ეროვნება არ შეგვივიწროებია, არავინ დაგვირბევია. ისინიც ყოველთვის აღიარებდნენ საქართველოს დიდბუნებოვნობას. მშვიდობიანობის დროს აქ ყველა შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით და გარეშე ძალების თავდასხმის შემთხვევაშიც ერთად ვიგერიებდით მათ. კარგად ვიცით, როგორ ჩამოასახლა დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები საქართველოში და მათთან ერთად როგორ გაავლო მუსრი მრავალრიცხოვან მტერს. ამ გამარჯვებით უპირველესად გადარჩა ქრისტიანული საქართველო და გადარჩა ქრისტიანული ევროპაც.

ამ ბოლო დროს საქართველოს ძალიან დიდი ყურადღება ექცევა როგორც ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენას, ისე ახალი სალოცავების აშენებას. მათ შორისაა თბილისში, სანზონაში აშენებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომლის გახსნაც ამ წლის ბოლოსაა დაგეგმილი.

რამდენი ეკლესია დაინგრა ბოლშევიკების მეფობის ავბედით ჟამს, რამდენიც საწყობად აქციეს და გააპარტახეს, ასე დაემართა 1921 წელს ხაშურის ეკლესიასაც. ის დაანგრიეს, ხატები დაწვეს და გაანადგურეს.

მაშინ იქ მცხოვრებმა 9 წლის პავლე დრაილინგმა (გერმანელმა) ერთი ქართული ხატი ჩუმად წამოიღო სახლში და გადამალა. ახლა, რა თქმა უნდა, ბატონი პავლე ცოცხალი აღარაა, მაგრამ მისმა შვილმა ვლადიმერ დრაილინგმა (დედით – კახაძე) დღემდე შემოინახა ეს ხატი, რესტავრაცია გაუკეთა და გადაწყვიტა გადასცეს სანზონაში მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას. გერმანელი პავლე დრაილინგის მიერ გადარჩენილი უნიკალური ქართული ხატი მალე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაიდებს ბინას.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი „უცხოტომელები“.

**მარლენ ბუხაიძე**

ინფორმაცია

# შეშა მოსახლეობისთვის საკმარისი იქნებაო

**საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი შეშის მარაგი მოსახლეობისთვის საკმარისი იქნება, ეს განცხადება გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ჩანტლაძემ გააკეთა.**

მისი თქმით, მიმდინარეობს დამატებითი ვაუჩერების დაბეჭდვა, რომელიც საქართველოს რეგიონებში გადაიგზავნება.

– ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ვაუჩერების ნაწილი, რომელიც უკვე გავგზავნეთ რეგიონებში. ჩვენი ვარაუდით ეს პროცესი 10 დღეში დასრულდება. იმ მოსახლეობას, ვინც უკვე მიიღო აღნიშნული ვაუჩერი, გამოყენება უკვე შეუძლია, – აღნიშნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა.

მისივე თქმით, შეშის ვაუჩერები დარიგდება მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა ქალაქებისა თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი.



# ნაძვის ხეების მოჭრა აიკრძალა

**უახლოეს დღეებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაიწყებს სპეციალური პროგრამის – „არ მოჭრა ნაძვის ხე“ განხორციელებას. ამის შესახებ განცხადება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ჩანტლაძემ გააკეთა.**

მისი თქმით, საქართველოს მთავრობას გააჩნია სპეციალური სათბურები, სადაც 5 ათასამდე ნაძვის ხის ნერგი იქნება გამოყვანილი და შესაბამისად გამოტანილი წინასაახალწლოდ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

# აფხაზეთში უძრავი ქონება ძვირდება

**აფხაზეთში უძრავი ქონება წელს 40 პროცენტით გაძვირდა.**

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის საიტის ცნობით, უძრავი ქონების აფხაზურ ბაზარზე მოქმედი კომპანიები, მათ შორის სოხუმსა და გაგრაში მომუშავე „ასტინა“, მიმდინარე წლით კმაყოფილნი არიან.

– გაგრასა და ბიჭვინთაში ფასების ზრდის მთავარი გენერატორი 2014 წლის ოლიმპიადის სოჭში ჩატარების შესახებ ინფორმაცია იყო. უძრავი ქონების ფასი ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ იმატებდა, – განაცხადეს გაგრის ერთ-ერთი კომპანიის სპეციალისტებმა.

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ აფხაზურ ბაზარზე მიწოდება მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება. უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მხოლოდ წელს 15-20 პროცენტით გაიზარდა.

**ინტერპრესნიუსი**

გვემრავლოს!

# ნუმც მოიშალოს აკვანთან ქართული იავნანა



**შპს კლინიკური მედიცინის ცენტრიდან განყოფილების გამგემ თამრიკო ალექსანდრიდიმ გვაცნობა:**

– ნოემბრის სამ კვირაში ჩვენთან 168 ბავშვი დაიბადა. უმრავლესობა პირველი შვილია, არიან მესამე და მეოთხე შვილის დედებიც.

– ოჯახს მატება, გამრავლება! – ლოცავენ შემდეგ შინ მიბრუნებულ დედა-შვილს ახლობლები, მეზობლები, მთელი ნათესაობა; და ჩვენც გვიხარია, როცა გვატყობინებენ: – შეგვეძინა პირველი შვილი, შვილიშვილი, გვარის გამგრძელებელი უკვე გვყავსო და... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. შპს კლინიკურ ცენტრში მოსულ ქალებს დედობის, კვლავაც შვილის შეძენით გამოწვეული სიხარული არ მოშლოდეთ!

**ნათელა ფაილოძე**

კადრი




რეკლამა

კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.


ანეკდოტები

– დაიფიცე, რომ მუდამ უერთგულებ დემოკრატიას!

– გეფიცებით, ჩემო მბრძანებელო!

* * *

ყრუებთან საუბარი შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება შენდამი დაყრუებულთან ლაპარაკი.



* * *

ტიპი პროქტოლოგთან მივიდა:

– გამარჯობათ, ექიმო. მე სიდოროვი ვარ, გახსოვართ?

– გამარჯობათ, ავადმყოფო. ჩაიხადეთ შარვალ-ნიფხავი, სახეებს ცუდად ვიმახსოვრებ.

* * *

– ექიმო, დამეხმარეთ, ყოველგვარი გაუგებრობისა მეშინია!

– ეგ არაფერია, ძვირფასო, მალე მოგარჩენთ. აი, მიმართვა.

– სად და ვისთან მაგზავნით, ექიმო?

– ჩინური ენის კურსებზე.

* * *

ეკონომიკური ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ფასები ელვისებურად გაიზრდება. უწინარესად კვერცხებზე.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.